წელიწადი მეოთხე　ფასი 10 კ.　პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 29 აპრილი 1928 წელი

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება
გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, ტფილისი რუსთაველის პროსპექტი, № 34. ჟურნალში მოსათავსებელი წერილები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით ტფილისი, რევოლუციის მუზიუმი—პეტრე გელეიშვილს:

№ 67 (15)

## ჟურნალის შინაარსი

საერთაშორისო თარიღი — **ა. ვადაჭკორია;** პირველი მაისი — **ივ. გომართელი;** პროლეტარიატის დღესასწაული **კ. მაჭარაძე;** 1903 წ. პირველი მაისის მოგონება — **იაგორ ტორიკაშვილი;** ბურჟუაზიის საფუძვლიანი შიში — **ს. ელიაძე;** ძველი უაზრობა ახალ სამოსელში — **ყარიბი;** თვითკრიტიკის ლოზუნგი და სოციალისტური აღმშენებლობა — **ლეო შენგელაია;** ჩვენი მრეწველობის ხუთ წლიანი გეგმისათვის — **ნ. ელიავა;** ლექსები: საპირველმაისო პირველი გამოსვლა **გ. ქუჩიშვილი;** მაისის სიცილი — **ზომლეთელი;** რას ამბობენ ფაქტები — **ზ. ჩახვაძე;** ყოფ. მარქსისტთა განყოფილება.

## საერთაშორისო თარიღი

პირველი მაისი მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული თარიღია. ამ დღეს რევოლიუციონური პროლეტარიატი გენერალურ შემოწმებას უკეთებს თავის ძალებს და კლასიურად შეკავშირებული მე-39-ჯერ დღესასწაულობს შრომის კაპიტალისაგან განთავისუფლების ემბლემას—1-ლ მაისს.

დღეს პროლეტარული არმიები ქარხნებიდან ქუჩებში გადმოდის, ქუჩაა მისი საბრძოლველი ასპარეზი, ქუჩებში გადმოაქვს მას რევოლიუციონური ნების ყოფა, ზეიმობს, ხარობს და კაპიტალთან გადამწყვეტ ბრძოლისათვის მოუწოდებს ყველა პროლეტარებს, ჩაგრულებსა და მაშვრალებს.

დღეს ხდება დემონსტრაციები მსოფლიოს ყველა კუთხეში, ქუჩებს აცისკროვნებს წითელი დროშები, გაისმის პროტესტები, ყიჟინა შეუპოვარი: დადგა განსჯაგანკითხვის დღე, საკითხი ყოფნა არ ყოფნის:

ვინ უნდა იყოს ქვეყნის ბატონ-პატრონი. ბურჟუა-ექსპლოატატორები, ყაჩაღი იმპერიალისტები, თუ მსოფლიოს მშრომელი ხალხი.

ჩამოგვეცალეთ, გვეყო ცხოვრება დუხჭირი, არა ადამიანური, ცხოვრება მონობასა და ბორკილებში ჩაჭედილი, აწ უკვე შევიგენით, მოვემზადეთ, და ერთი მთლიანი ფრონტით მოვდივართ თქვენზედ, უნდა დავსცეთ კაპიტალისტური სამყაროს ციხე-სიმაგრე და მის ნანგრევებზე უნდა ავაშენოთ სოციალიზმის სამეფო, უნდა შევქმნათ პროლეტარული სულიერი და მატერიალური კულტურა.

წითელი ლეგიონები, რევოლიუციონური ცეცხლით გავარვარებული ქუჩები მწვავე საგონებელში აგდებს მსოფლიო ბურჟუაზიას. ამ დღეს რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია სამკვდრო - სასიცოცხლოდ ეჯახება ერთი მეორეს ქუჩებში

კაპიტალისტურ სამეფოში პროლეტარიატს მეტად ძვირად უზის მაისის დღესასწაული, იქ დემონსტრაციები გარშემორტყმულია ჯარით, ჟანდარმერიით. მათი აღგზნებული ნებისყოფა შეზღუდულია. ცოფმორეული ბურჟუაზია საშუალებას არ აძლევს მუშებს თავისუფლად ჩაატარონ ეს მისთვის ბრწყინვალე დღე.

1-ლ მაისს საზეიმოდ გამოსულ მშრომელების სისხლი უსათუოდ დაიღვრება კაპიტალისტურ ქვეყნებში. ფაშისტი მუსოლინი და თავხედი პილსუდსკი აბა რას მოითმენს პროლეტარულ დღესასწაულს; მათი შავი ძალები უსათუოდ შეიჭრება რევოლიუციონურ რაზმების რიგებში და მოისურვებს წითელი დროშის ძირს დანარცხებას.

ჯერ ჩვენ არ ვიცით თუ როგორ ჩაატარებს მაისობის დღესასწაულს მსოფლიო მენშევიზმის შტაბი—მეორე ინტერნაციონალი, არ ვიცით გამოიყვანს თუ არა ამსტერდამი მასებს ქუჩებში, მაგრამ რას უნდა მოველოდეთ ყვითელი, მცონარე ინტერნაციონალისაგან, რომლებმაც მოწოდებითაც კი მიმართეს მუშებს: „დაიცავით დემოკრატიული და კაპიტალისტური წესწყობილებაო“.

მსოფლიო გამცემლები, ისე როგორც ყოველთვის, ალბად დღესაც განზე გადგებიან, დღესაც უარს იტყვიან კომუნისტებთან ერთი მთლიანი ფრონტის შექმნაზე. ისინი ალბად მათთვის ჩვეულ დახურულ კარებში, ჩუმად უმტკივნეულო რეზოლიუციებით თუ ჩაატარებენ პირველი მაისის დღესასწაულს, მათ ამისთვის არც სცხვენიათ, არც ეშინიათ. მათ ხომ დიდი ხანია ჩამოიბერტყეს ყოველგვარი ნასახი კლასიური ბრძოლისა და ყოვლად ურცხვად გვერდში ამოუდგენ ბურჟუაზიას მათი ბატონობის გასახანგრძლივებლად.

როგორია მაისის დღესასწაული ჩვენში—საბჭოთა კავშირში? აქ პროლეტარიატი ბორკილ-აყრილია, შრო-

მა თავისუფალია. ის არის გეგემონი თავის სოციალისტურ სამშობლოისა. მაისობა აქ სახელმწიფოებრივი დღესასწაულია, წითელი დროშა სახელმწიფოს ალამია, ბრძოლის დასასრულია, სოციალიზმის მშენებლობის ემბლემაა, შრომის კაპიტალზე გამარჯვების უტყუარი ნიშანია.

სამაისო ზეიმი საბჭოთა სახელმწიფოში როდია მიმართული შინაური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. საკავშირო რესპუბლიკების პროლეტარიატმა უკვე დაასრულა ბრძოლა ამ მიმართულებით. მან უკვე ჩამოართვა ძალა უფლება მეფის ჯალათებს. ის უკვე მე-11 წელია ბრძანებლობს სახელმწიფოებრივ მმართველობის პოლიტიკურსა და ეკონომიკის მაღალ მწვერვალებს.

პირველი მაისობა პროლეტარულ რესპუბლიკებში მხოლოდ მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის **ის ტორიული** ფაქტის აღნიშვნაა, მისი სიდიადის გახსენებაა, წარსული ბრძოლების მოგონებაა, მისი გამარჯვების დადასტურებაა.

პირველ მაისს საბჭოთა ქვეყნებში განთავისუფლებული მუშების წითელი კარნავალი, არმია და ფლოტი რევოლიუციონური ჰიმნით გადასძახებს კაპიტალისტურ ქვეყნების პროლეტარებს, კოლონიალურ უღლის ქვეშ მგმინავ ხალხებს, ყველა ჩაგრულთა და ტვირთ მძიმედ, თუ მათ როგორ უნდა აწარმოონ ბრძოლა საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. როგორ უნდა მოიგონ ეს ბრძოლები, როგორ უნდა შეინარჩუნონ ის და როგორ უნდა განახლებულ ქვეყნის სოციალისტურ საფუძვლებზე აგება.

მსოფლიო ბურჟუაზია და მისი დამქაში მენშევიზმი ვერ ურიგდება საბჭოთა ქვეყნის მაგალითებს, ვერ ურიგდება ჩვენს ეკონომიურ გაჯანსაღებას, ჩვენს პოლიტიკურ ძლიერებას, კომუნიზმის იდეას. ამოძრავებს შავრაზმულ ემიგრაციას, არა ერთხელ დამარცხებული გარედან, აწყობს ქვეყნის შიგნით ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციას, აფეთქებებს, სამეურნეო და პოლიტიკურ გარემოცვას.

მტრების ზურგში ჩვენ გვყავს ძლიერი მოკავშირე — პროლეტარებისა და ჩაგრულ ერების სახით. საბჭოთა მიწა-წყალზე არა ერთხელ გვინახავს ამ მასების წარმომადგენლები. ისინი მოვიდენ ჩვენთან ჩვენი ყოფა-ცხოვრების, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გასაცნობად. მათმა პროლეტარულმა თანაგრძნობამ, მისალმებებმა და ინტერნაციონალის ხმებმა, ერთ სურვილათ, ერთ მისწრაფებათ აქცია საბჭოთა მშრომელების და კაპიტალისტურ ქვეყნების პროლეტარულ მასების წარმომადგენლები დაბრუნებულმა დელეგაციებმა გააცნო ევროპის მუშათა კლასს აქ ნახული მიღწევები, სოციალიზმის მშენებლობის უტყუარი პერსპექტივები

საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა კლასს შორის მოხდა, მტკიცე რევოლიუციონური დაძმობილება.

ჩინეთის რევოლიუცია და კოლონიალურ სამფლობელოებში ხალხების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს კომუნისტური ინტერნაციონალი — საუკეთესო თავდებია ამისი.

მაგრამ იმპერიალიზმი განწირულია. მსოფლიო მენშევიზმის რიგებში დაწყებული რღვევა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მასები კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ ირაზმებიან, სოციალისტურ რევოლიუციისათვის ემზადებიან, და შორს არ არის ის დღე, როდესაც შრომის უფლებებისა და კომუნიზმის დამყარებისათვის მებრძოლი მსოფლიო მუშათა კლასი თავიანთ მეფეების სასახლეებზე აღმართავს წითელ დროშას, გამარჯვების საბოლოო დროშას.

გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატის მთლიან ფრონტს!.

ა. ვადაჭკორია.

# პირველი მაისი

გაზაფხული ის კეკლუცი დრო არის, რომელსაც ყველა ნეტარებით მოელის, ყველა შეჰხარის, ყველა შეტრფის.

გაზაფხული ის იშვიათი პატარძალია, რომელსაც განსაკუთრებით ამკობენ პოეტები.

საპატარძლოდ მორთულია
მოკეკლუცე გაზაფხული.
და ჰფეთქს ძალი ბუნებისა
ზამთრით გამოღვიძებული.
რაც კი ქვეყნად გაჩენილა:
უენოა, თუ აქვს ენა,
სულიერს, თუ უსულოსა
საზოგადო აქვს დღეს ლხენა.

გაზაფხულის მზის გამოშუქების ახალი გაცხოველებაა სითბოსა და სიამის მოსაფენად, სიცოცხლის ასაყვავებლად.

გაზაფხული ზამთრის დამარცხებაა, ყინულის ბორკილების დამსხვრევა და განთავისუფლება ახალი ცხოვრების გასაჩაღებლად.

გაზაფხული სითბოა, სიხარული, განახლება.

გაზაფხული სიმღერაა სიყვარულისა, სიმღერაა შრომისა, რომელიც ახალსა ჰქმნის.

გაზაფხული გატაცებაა, თავდავიწყება, სილამაზე, სიმშვენიერე. გაზაფხული ახალგაზრდობაა, ოცნება, სიხალისე: ველი ამწვანდება, ტყე შეიმოსება, ხეხილი აყვავილდება, მდინარე ახმაურდება, ცაში ელვა დასჭექავს.

გაზაფხული სიყვარულის დათრგუნვაა და სიცოცხლის გაღვივება.

გაზაფხული მუშის იმედია, იპოხებს მუშის ოფლით, რომ შემდეგ მასვე დაუბრუნოს უხვი მოსავლის სახით...

გაზაფხულის თვალი, მისი გვირგვინი მაისია აფერადებული, დახატული, მორთული და მოკაზმული. მაისი იმედია, ძალა, გამარჯვება.

ამიტომ ამოირჩია პირველი მაისი მსოფლიო პროლეტარიატმა თავის დღესასწაულად.

პროლეტარიატს ბევრი აქვს დღესასწაული, ხოლო პირველი მაისი განსაკუთრებულია, იშვიათია.

მსოფლიო პროლეტარიატსა აქვს საერთო მიზანი: მთელი მსოფლიოს გადაქცევა პროლეტარიატის საერთო სოციალისტურ სამშობლოდ.

ჯერ-ჯერობით კი მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ნაწილი მოქცეულია, დანაწილებული ბურჟუაზიის ნაციონალური სახელმწიფოს საზღვრებში, რაც თავისებურ ელფერს აძლევს პროლეტარიატის ამა თუ იმ დღესასწაულს.

პირველი მაისი სულ სხვა არის, სხვაგვარი დღესასწაული: მან წაშალა ეროვნული საზღვრები და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი შეაერთა.

ამიტომ პირველი მაისი უდიდესი გამარჯვება და განხორციელებაა დიადი ლოზუნგისა:

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

პირველ მაისში თავმოყრილია მთელი მსოფლიო პროლეტარიატის სურვილი, მისწრაფება, ნებისყოფა და მტკიცე გარდაწყვეტილება.

სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატსა აქვს თავისი ყოველდღიური საზრუნავი, თავისი კერძო საქმე. პირველ მაისს კი ყოველივე კერძო, ადგილობრივი უკან რჩება და ყველას წინაში განსაკუთრებული სიცხოველით აღიმართება საერთო საქმე:

**სოციალიზმი.**

ცხოვრების ყოველდღიურობის დუღილში მოსჩანს პროლეტარიატის სხვადასხვა სახე, სახე ეროვნული:

ქართველი, სომეხი, თათარი, ებრაელი, რუსი, გერმანელი, ჩინელი; პოლონელი, ინგლისელი, ფრანგი და სხვ.

სულ სხვა არის პირველი მაისი: აქ მოსჩანს მხოლოდ ერთი სახე მსოფლიო პროლეტარიატისა და ამ სახეზე ერთი მისწრაფებაა აღბეჭდილი, —

**საერთო ბრძოლა სოციალიზმის დამყარებამდე.**

ყოველდღიური შრომის უღელში პროლეტარიატის გულისცემა ხშირად სხვადასხვაგვარია.

პირველ მაისს კი ყოველგვარი სხვადასხვაობა ჰქრება და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს მხოლოდ ერთი გული აქვს, საერთო სურვილით აძგერებული.

პირველი მაისი არის იშვიათი დღე ერთად გათვალისწინებისა, ერთად გახსენებისა.

რისი?

**მსოფლიო პროლეტარიატის საერთო მიზნის.**

მუშაც ხომ ადამიანია, მასა ხომ აქვს საკუთარი ოჯახი, საკუთარი მიზანი, საკუთარი ჭირ-ვარამი, პირადი საზრუნავი?

ყოველივე ამან რომ არ ჩაჩრდილოს საერთო, საზოგადო, ამიტომ არის პირველი მაისი.

როდესაც ის ჩამოჰკრავს ზარს, ყოველივე საპირადო ჰქრება და მსოფლიო პროლეტარიატის ოჯახის წინაშე აღიმართება მხოლოდ ერთად-ერთი—საერთო მიზანი. მსოფლიო პროლეტარიატი გაფანტულია მთელი დედამიწის ზურგზე. ოფლითა და ჩაქუჩით ჰქმნის ის მრავალთა კეთილდღეობას.

პირველი მაისი გარეშემო შემოიკრებს მსოფლიო პროლეტარიატს და მოაგონებს მას თავის საერთო მოვალეობას.

**მუქთახორების ტახტის დანგრევას ყველგან და მშრომელთა განთავისუფლებას.**

პირველი მაისი არის უდიდესი კანდელი, რომელიც გზას უნათებს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს და მიჰყავს ის სოციალიზმისაკენ.

პირველი მაისი არის წინამორბედი, გრიგალი უდიდესი ბრძოლისა, რომელმაც უნდა მოუტანოს მთელ მსოფლიოს განახლება.

პირველი მაისი არის დღე საერთო ფიცისა, მსოფლიო პროლეტარიატის ფიცისა, რომ ის წითელ დროშას არ დაჰხრის და ამაყად შეიტანს სოციალიზმის დიად სამეფოში.

პირველი მაისი პროლეტარიატის სიმაგრეა, მიუვალი სიმაგრე, რომელსაც ვერავითარი მტერი ვერ აიღებს, ვერავითარი მტერი ვერ გამოჰგლეჯს პროლეტარიატს ხელიდან.

არის ბევრი ისეთი დღესასწაული, რომელსაც პროლეტარიატს სხვა კლასი ეცილება.

აიღეთ მაგალითად ბასტილიის აღება. საფრანგეთის პროლეტარიატთან ერთად ამ დღეს საფრანგეთის ბურჟუაზიაც დღესასწაულობს.

პირველი მაისი კი წმინდა პროლეტარული დღესასწაულია, იმაში პროლეტარიატს სხვა ვერავინ შეეცილება.

პირველი მაისი ყველა დაჩაგრული ერების დღესასწაულია, იმ ერებისა, რომლებსაც ევროპის იმპერიალისტები ტყავს აძრობენ.

ამ ერების მთელი იმედი პირველ მაისზე არის დამყარებული, პირველი მაისი უქადის მათ განთავისუფლებას მსოფლიო ავაზაკების კლანჭებიდან.

პირველი მაისი არის წინამორბედი უდიდესი გამარჯვებისა, ისეთი გამარჯვებისა, რომლის მზგავსი კაცობრიობის ისტორიამ არ იცის და არც ეცოდინება: ეს იქნება საბოლოო გამარჯვება მსოფლიო პროლეტარიატისა მსოფლიო ბურჟუაზიაზე.

ასეთი ბრძოლისათვის შესაფერი მომზადებაა საჭირო.

პირველი მაისიც პროლეტარიატის შეგნების განმტკიცებაა, მისი რიგების შეჯგუფება, პროლეტარიატის ძალთა აღრიცხვა.

პირველი მაისი დიდი ალლუმია პროლეტარიატისა, რომელიც ემზადება უკანასკნელი შეტევისათვის.

პირველი მაისი უდიდესი სიხარულია მსოფლიო პროლეტარიატისა და ამავე დროს მისი უდიდესი რისხვა, რომლის გუგუნიც ბურჟუაზიის აღსასრულის მომასწავებელია.

პირველი მაისი მეხია ბურჟუაზიისათვის; პირველ მაისში მსოფლიო ბურჟუაზია ჰხედავს თავის დამარცხებას, თავს აღსასრულს.

პირველი მაისი არის მოციქული უდიდესი ჭეშმარიტებისა, რომელმაც უნდა დაამყაროს ძმობა, ერთობა თანასწორობა და გაამეფოს შრომა.

პირველი მაისი არის შრომის უდიდესი დღესასწაული. უნდა მოისპოს მუქთახორობა, ყვლეფა და საერთო შრომაზე დამკვიდრდეს ახალი ცხოვრებაო, აი რას ჰღაღადებს იგი.

პირველი მაისი არის უდიდესი საყვირი, რომელიც უხმობს და თავს უყრის მსოფლიო პროლეტარიატს, რომ საბოლოოდ მოსპობს ბატონობა მუქთახორებისა და გზა გაუხსნას მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურას. პირველი მაისი არის უმაგრესი ლუზა და სიმტკიცე სოციალიზმისა, რომლის მედროშენიც ამ დღეს ერთმანეთს შეჰფიცავენ პროლეტარულის ფიცით:

**მძაფრი ბრძოლა სრულ გამარჯვებამდეო.**

პირველი მაისი არის უდიდესი დღე, რომელშიაც ბრწყინავს მთელი მსოფლიოს მუშების, გლეხებისა და დამონებული ერების იმედი, სასოება, სიხარული და შეურყეველი რწმენა.

პირველი მაისი ამაყად გადასჩერებია წინ მთელ საუკუნეებს და მის დროშაზე ვკითხულობთ:

**მე ვარ აღსასრული ძველი ცხოვრებისა და დასაწყისი ახალისა, მუშებისა და გლეხების წყობილებისა**

პირველი მაისი განსაკუთრებით ბრწყინვალეა საბჭოთა კავშირში, რადგანაც აქ მუშებისა და გლეხების ხელისუფლებაა—თავდები სოციალიზმის გამარჯვებისა.

**გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბრწყინვალე დღესასწაულს — პირველ მაისს!**

**გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის თავგანწირულ ბრძოლას! გაუმარჯოს სოციალიზმს!**

**ივ. გომართელი.**

# პროლეტარიატის დღესასწაული

**(ჩემი მოგონება)**

1 მაისი არის—მუშათა კლასის საერთაშორისო დღესასწაული, რომელიც წარმოშვა განსაკუთრებულმა პირობებმა და მიზეზებმა და აქვს დიდი ისტორია.

1889 წელს ქალაქ ჩიკაგოში მუშებმა მოახდინეს გრანდიოზული გაფიცვა. გარდა ეკონომიური მოთხოვნილებისა, მათ წარმოაყენეს აგრეთვე რვა საათის სამუშაო დღის შემოღება და სხვ. ბურჟუაზიამ დაწყებული გაფიცვა სისხლში ჩაახრჩო. მრავალი მუშა იქნა დახვრეტილი, მრავალიც ქუჩაში დატოვებული ულუკმა პუროთ. ამ მსხვერპლს შემდეგისათვის, რა თქმა უნდა არ ჩაუვლია უნაყოფოთ.და ეს დღე. 1889 წელს შრომის ფედერაციების დადგენილებით. გამოცხადებული იქნა მუშათა კლასის საერთაშორისო დღეთ.

მეორე ინტერნაციონალის პირველმა კონგრესმა

იმავე 1889 წელს საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ასი წლის თავზე პირველი მაისი გამოაცხადა პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის დღეთ.

ამ წლიდან დაწყებული ევროპის ყველა ქვეყნებში ეს დღე იქცა მუშათა კლასის მასიურ დღესასწაულათ. პირველ მაისს უქმობდენ თითქმის ყველა კუნჭულში, ხოლო რუსეთის და საქ. მუშ. კლასი მოკლებული იყო ამ დიად დღესასწაულს, რადგან აქ შედარებით უფრო გვიან დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობა და როცა აქაც ჩაეყარა საძირკველი მუშურ-რევოლიუციონურ მოძრაობას. მაშინ პირველი მაისის დღესასწაული ჩვენც დავიწყეთ.

ჯერ კიდევ 1899 წელს, როდესაც რევოლიუციონური მოძრაობა სუსტი იყო, ღრმა-ღელის ზევით, მთაზე, ვიდღესასწაულეთ სამოცდა შვიდმა კაცმა მალულათ. ამ დღესასწაულს დაესწრო როგორც მუშები, ისე ინტელიგენციაც. ესენი იყვენ დამაარსებელნი რევოლიუციონური ორგანიზაციისა. იქ იყვნენ სხვათა შორის, ა. ოქუაშვილი, კოპალეიშვილი, დ. კეცხოველი, რ. კალაძე, გ. ნინუა, ვ. სტურუა, ხარტიშვილი, გ. ჩხეიძე, ზედგინიძე და სხვა.

ვერ წარმოიდგენ რა სიამოვნებას ვგრძნობდით მუშები, როდესაც შუაში პატარა წითელი დროშა ფრიალებდა და მის გარშემო ჩვენ ვიყავით შემომსხდარი.

პირველი მისასალმებელი სიტყვა პირველი მაისის მნიშვნელობის შესახებ სთქვა რ. კალაძემ. მას მიყვა ზედგინიძე, არავიაშვილი, ვ. სტურუა, ხარტიშვილი, და სხვა. აღფრთოვანებული მუშები ფიცს სდებდენ დროშის წინაშე, რომ ისინი გაასკეცებდენ მუშაობას თავიანთ ამხანაგებში და მომავალ წელს მოვიდოდენ მეტი. ასეთ მხიარულებაში მოატანა კიდეც საღამოს 6 საათმა, როდესაც ყველანი წყნარათ წავედით სახლებში და შევუდექით ორგანიზაციულ მუშაობას.

მომავალი პირველი მაისობაც მოახლოვდა, ორგანიზაციამ მომანდო დროშის დახატვა. მეც დიდის სიამოვნებით ვიკისრე ამ მოვალეობს შესრულება, ვიყიდე წითელი აბრეშუმის მატერია. ბახრამა, ოქრო და შევუდექი მისი მომზადებას. რამდენიმე დღეს ვიყავი ჩაკეტილი ოთახში. წარწერა გაუკეთე დროშას სამ ენაზე, რუსულ-ქართულ-სომხურად. შუაში კარლ მარქსი და მის გვერდებით, ფრიდრიხ-ენგელსი და ლასალი დავხატე. წარმოუდგენელია ის აღფრთოვანება, რასაც მე მაშინ, ხატვის დროს, ვგრძნობდი, მთელის ჩემის ენერგიით ვცდილობდი რაც შეიძლება ლამაზი და თვალწარმტაცი ყოფილიყო ყველა მნახველთათვის. მართალია, მე ვიცოდი,—რომ თუ მომასწრებდენ დროშაზე მუშაობის დროს ძვირათ დამიჯდებოდა, ამ დავალების შესრულება,-ციხე-კატორღა აუცილებელი იქნებოდა, მარა იმდენათ გატაცებული ვიყავი მისი სიყვარულით, რომ, აღნიშნული სასჯელზე სრულიად არ ვფიქრობდი,

პირველი მაისობის სადღესასწაულო ადგილის გამონახვა და მისი დაცვა მტრისაგან მიენდო ნაძალადევის ჩოხუც მუშებს, რომლებმაც ყველაზე უფრო მოხერხებულად მიიჩნიეს ნაძალადევის ზევით ტბის ახლო მიდამოები. დილას ნისლიანი დღეა, ჟუჟუნა წვიმაც მოდის, ნელნელა დაიწყეს მუშებმა ყოველ მხრიდან დენა. ყველას, კარზინკებით და ხურჯუნებით საჭმელ-სანოვაგე და ღვინო მიაქვთ თითქოს „თელეთობაზე“ ხატებზე სალოცავათ მიდიანო.

გზა და გზა ამხანაგები დგანან. მიმავალთ გზას აჩვენებენ პაროლების საშუალებით.

დანიშნულ ადგილას 400 მუშა გამოცხცადდა. უმრავლესობა რკინის გზის მუშებია. მათ შორის სამიოდე ინტელიგენტი ურევია, დანარჩენი კი სულ დაზგის მუშებია. (დადგენილება იყო ინტელიგენციას არ უნდა მიეღო მონაწილეობა დღესასწაულში ტაქტიკური მოსაზრებით).

ადგილი საუცხოვო იყო გამონახული. გარშემო მაღალი მთები, შუაში დაბალი და სწორი ადგილი. ზევით მთებზე სდარაჯობს შეიარაღებული მუშები და დაბლა კი ფრიალებს წითელი დროშა. 400 მებრძოლი მუშა დალაგდა ამ დაბლობ ადგილში, გაიშალა გარშემო სუფრა და შუაში აღიმართა წითელი დროშა. ცამაც მოიწმინდა, თითქოს, ისიც თანაუგრძნობდა პირველ მაისის მუშათა კლასის დღესასწაულს. ნელა ქარმაც დაიქროლა და შემოკრა ზუზუნით აბრეშუმის გაშლილ დროშას და ლაპლაპი დააწყებინა მზის მიერ უხვათ მიცემულ სხივებზე.

მახსოვს, კოპალეიშვილი მივიდა დროშასთან, მუხლი მოიდრიკა მის წინაშე და პირველი მაისის ზეიმი გახსნილათ გამოაცხადა. აღფრთოვანებული მუშები ფეხზე წამოდგნენ და ერთხმათ შესძახეს „გაუმარჯოს პირველ მაისს, გაუმარჯოთ საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობასო“. ამას მოყვა მარსელიოზას გუგუნი და ნიშნათ გამარჯვებისა, ლევორვერების ზალპები ჰაერში. შემდეგ ა. ოქუაშვილი ესალმება მუშებს და მოუწოდებს ბრძოლისაკენ საერთაშორისო მუშათა კლასთან ერთად კაპიტალისტების წინააღმდეგ. მას მიყვა ცერცვაძე, კარაჯევი, დამასტროევი, კუპრაშვილი და სხვა. ამ მშვენიერი სურათის აწერა კალმით ყოვლად შეუძლებელია. მუშების აღფრთოვანებას საზღვარი არ ქონდა, თვითეული სიტყვის ბოლოს ისმოდა მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლის ყიჟინი. ბევრი მუშა მეტის სიხარულით სტიროდა და წითელ დროშას გულში იხვევდა, მუხლს იყრიდა მის წინაშე და ფიცსა სდებდა, რომ მას მიიტანდა სოციალიზმის კარებამდე.

ამ დიდებულ ზეიმის დროს ჩვენს მცველებს დაეპატიმრებიათ რამდენიმე მიმავალი მგზავრი. ეფიქრნათ: ვინ იცის, იქნება ესენი ჯაშუშები არიან, შეატყობინონ მთავრობას და კაზაკები თავს დაგვასხანო.

ისინიც მიიყვანეს წითელ დროშასთან ახლოს, შემდეგ დააყენეს ჩვენთან და შეექცენ პურ-მარილს. მგზავრები განცვიფრებული კითხულობდენ: ვინ არის დროშაზე გამოხატულიო, კარლ მარქსის ვინაობას და პირველ მაისის დღესასწაულის მნიშვნელობას.

უკვე სამი საათი შეიქნა. ზეიმი დახურულათ გამოცხადდა, მუშები წამოიშალნენ ადგილებიდან, ერთმა მუშამ დროშას ხელი დაავლო და გამოექანა ნაძალადევისაკენ, მას უკან სხვები გამოყვა და დაიწყო მრისხანე დემონსტრაცია მაღლა. გორაკზე. მარსელიოზას გუგუნთან, ერთად ჰაერში მიდიოდა საშინელი ზალპები, გეგონებოდა ომი დაიწყოვო. იძულებული შევიქენით ძალათ წაგვერთმია დროშა და მოგვეწოდებია აღელვებული მუშები მშვიდობიანობისაკენ.

ხუთის ნახევარზე ყველანი დაეშვენ ნაძალადევისაკენ, და ჭიანჭველასავით მოედვენ ნაძალადევის უბანს. ბოლოს პოლიციამაც გაიგო თუ რაში იყო საქმე, მარა გვიანი იყო, ყველანი სამშვიდობოს იყვნენ გამოსული.

1901 წელს 22 აპრილს მართლაც მოხდა დიდი დემონსტრაცია შიგ შუა გულ ქალაქში, რაც უკვე იცის ისტორიამ. მარა საჭიროა აქ რამდენიმე ეპიზოდების მოყვანა, რათა დარწმუნდენ ახალგაზრდები, თუ რამდენ თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მათი მამები.

1901 წლის დღესასწაული მეორე დღეს მთელ ქალაქს მოედო. ბევრი მუშა ნატრობდა, რომ ვერ გახდა ღირსი ზეიმში მონაწილეობის მიღების.

ამან შეუწყო ხელი ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერებას. მომავალ მაისს ყველანი გულის ფანცქალით ელოდენ. მართლაც ორგანიზაციამ გადასწყვიტა, რათაც არ უნდა დამჯდარიყო, პირველი მაისი ედღესასწაულა შუა ქალაქში. მე კვლავ მომცეს წინადადება დამეხატა უფრო ლამაზი დროშა, ვიდრე 1900 წელს იყო. მეც შევასრულე დავალება, დროშა დავხატე არაჩვეულებრივი. პირველი მაისობა მოდიოდა 18 აპრილს, ძველი სტილით, მარა თვრამეტი აპრილი სამუშაო დღე იყო და ამიტომ, დღესასწაული იქნა გადატანილი 22 აპრი

ლისათვის, კვირა დღეს. ამ დღეს ჩვეულებრივი „იარმუკობა“ იცოდა „სალდათის“ ბაზარში და ადვილათ შეიძლებოდა მუშების შეკრება. ჩვენც ეს ადგილი ავირჩიეთ.

გაზაფხულის მზიანი დღე გათენდა. ავჭალის ქუჩაზე შემხვდა გ. ნინუა და ლ. მამალაძე, და ხუმრობით წავედით ნელ-ნელა დანიშნულ ადგილისაკენ. ჩვენ მისვლამდე უკვე მრავალი მუშები მოსულიყვნენ. პოლიციასაც არ დარჩენია შეუმჩნეველი ჩვენი გადაწყვეტილება. ისინიც ნელ-ნელა გროვდებიან და კუთხეებში იჭერდნენ ადგილებს. ჟანდარმებიც გამოჩნდენ და დაუწყეს თვალყურის დევნება ლურჯ ხალათიანებს. დანიშნულ ადგილს უკვე შეუძლებელი შეიქნა დემონსტრაციის დაწყება. ხელმძღვანელ ბიურომ გასცა განკარგულება, რომ ადგილი შეეცვალა. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეატყობინეს მუშებს ათის-თავების საშუალებით, რომ შეკრებულიყვენ სემინარიის გვერდით. მუშები ნელ-ნელა დაიძრენ და ათი წუთის განმავლობაში ძველი დანიშნული ადგილი დაცალიერდა. ესეც სწრაფათ გაიგო პოლიციამ და მიაშურა ახალ ადგილს. ვიდრე ყველა მოგროვდებოდით იქ მათ უკვე დაიჭირეს გასასვლელი ადგილები. შემდეგ, კვლავ დაუბრუნდით ძველ ადგილს. პოლიციაც ისევ დაგვედევნა. მუშები ეკითხებოდენ ერთი - მეორეს, რა ვქნათ მთავრობამ ყველაფერი იცის, ჯარი და პოლიცია მზათ არის. გადავდოთ დემონსტრაცია, თუ დავიწყოთო. ყველანი ერთ და იმავეს ამბობდა: ან სიკვდილი, ან გამარჯვება, არავითარ შემთხვევაში დემონსტრაციის გადადება, რაც მოგვივა, მოგვივა. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ფიცი სისრულეში უნდა მოვიყვანოთო და სხვ...

თორმეტს ხუთი წუთი აკლია, ყველანი ერთად გროვდებიან. ყველანი ფანცქალით ელოდებიან 12 საათის ზარბაზანს, ეს არის დაწყების სიგნალი. დემონსტრაციის მედროშე ჩოთქის ტარით იქვე დგას. გ. თელიას „ტაბურეტკა“ უჭირავს ხელში ორატორისათვის. მ. გურუშაძე და მ. ბოჭორიშვილი მზათ არიან სიტყვებისათვის რუსულ ქართულ ენაზე. პოლიციელები და ჟანდარმებიც თანდათან გვიახლოვდებიან. ყველანი გაფითრებულია, როგორც პოლიციელები და ჟანდარმები, ისე მუშებიც ხოლო ობივატელებმა არაფერი იციან.

გავარდა ზარბაზანი, მუშები გაეშურენ დანიშნულ ადგილას და კიდეც აფრიალდა ჰაერში წითელი დროშა. დროშის დანახვაზე იგრიალა ხალხმა: ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს პირველ მაისს და სხვა. ამ ხმაზე პოლიცია და ჟანდარმები ხმალ ამოწვდილები დაერიენ მუშებს და დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. პოლიციელების ხმლები ჯოხებივით სცვივოდა მიწაზე და დასისხლიანებული გარბოდნენ, მარა ამ დროს მოუსწრო კაზაკებმა და დრაგუნის ჯარმა, რომლებიც გამხეცებული დაერიენ ხალხს ხმლებით. არ ზოგავდენ არც ქალს, არც ბავშს და არც მუშებს, დროშის ნაწილი იგდო ხელთ როტმისტრუმა, არაქელა ოქუაშვილი ვ. ზართანია, ქადაგიშვილი და სხვა გაშმაგებით ებრძვიან მოზღვავებულ მტერს, მარა ბოლოს იმორჩილებენ მუშებს და ბრძოლის ველი ცალიერდება. ლ. მამალაძე სისხლში მოსვრილი გდია მიწაზე, მას ცოცხალმკვდარს, უმოწყალოდ ცემენ კაზაკები. ბოლოს ინსტიქტიურათ გონს მოდის, იძრობს ჯიბიდან ნაგანს და ესვრის კაზაკებს. კაზაკი ვარდება ცხენიდან, მარა ლეონტიც ღონე მიხდილი მიწაზე ეცემა. ბრძოლის შემდეგ დატყვევებულები და დაჭრილები მიყავთ. ლ. მამალაძეს აგდებენ დროგზე, როგორც მკვდარს და მიყავთ ქალაქის საავადმყოფოში. იქ რამდენიმე საათის შემდეგ გონს მოყავთ და მიყავთ მეტეხის სატუსაღოში.

ასე დასრულდა პირველი მაისის დღესასწაული 1901 წელს 22 აპრილს, ახალ სტილით პირველ მაისს. მრავალი დაიჭრა, მრავალი დაატუსაღეს და მრავალიც გადაასახლეს შორს მიუვალ ციმბირის ცივ ქვეყნებში.

მაგრამ ამით ვერ გასტეხეს მისი სიძლიერე საბჭ. კავშირის მუშათა კლასმა, უკვე დაამარცხა თავისი მოსისხლე მტრები, ძალაუფლება თვითონ აიღო ხელში და თვით უძღვება თავის საქმეს.

მაშ, გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობის დღეს—პირველ მაისს.

ძირს საერთაშორისო კაპიტალიზმი.

გაუმარჯოს სოციალიზმს.

კ. მაჭარაძე.

# 1903 წლის პირველი მაისის მოგონება

შემოაღო ჩვენი ოთახის კარები ძიამ და დაიძახა: აი სეც თქვენი საჩუქარი და დააგდო მძიმე ბოხჩა.

— რა არის გიორგი,—მივეხვივენით ამხანაგები, რადგან ვიცოდით, რომ გიორგის საჩუქარი იქნებოდა ან ლავაშები (პროკლამაცია) ან წიგნები სამაისოთ გამოცემული.

— ეს წითელი მიტკალია,—დაიწყო ძიამ.—თბილისის კომიტეტმა გამოგზავნა. პატარ-პატარა დროშები უნდათ პირველ მაისისათვის სამაისო ლოზუნგებით.

— აბა ეხლა რა ვქნათ საქმე დაგვიანებას არ ითმენს. შენ სტეპკო, მაჭარაძესთან, უნდა წახვიდე, მას ტრაფარეტები ექნება ამოჭრილი სამაისო ლოზუნგებით. შენ, გავრუშკა რას გააკეთებ?

— მე სალებავს ვიშოვი.

— თქვენ, ალიოშა, წადით და გაიკების გამოზიდვის ორგანიზაცია მოაწყვეთ სახელოსნოში.

შენ რაღას გააკეთებ—შემეკითხა მე.

— მე შეშას და სურსათის საქმეს მოვაგვარებ—ვუპასუხე.

გაჩაღდა მუშაობა, ოთახის კარები მაგრათ არის დაკეტილი ფარდები ჩამოფარებული. ფეჩი გამუდმებით ხურს და თოკზე გაფენილი პატარ-პატარა დროოშები წარწერით ჩქარ-ჩქარა შრება.

პირველი მაისის წინა ღამეა. აუარებელი დროშები გვაქვს დამზადებული პატარ-პატარა ბაწრებით ზედ გაიკებ მიმაგრებული. მთელი სახლი სავსეა მაშინდელი კომკავშირელებით. ყველა მხიარულია, ყველა რაღაც დიდ კმაყოფილებას გრძნობს.

ღამით, მედროშეთა მთელი რაზმი გადის ქუჩებზე დროშების გამოსაფენათ, საიდანაც ბევრი მათგანი იმ ღამესვე ციხეში ამოყოფენ თავს.

დილით მთელი ქალაქი მორთული იყო წითელი დროშებით. ქალაქის პოლიცია ჟანდარმერიასთან ერთად, გაფაციცებული დარბოდენ და ხსნიდენ ტელეფონის მავთულებზედ მაგრათ მოხვეულ დროშებს. იმ დღესვე გამოირკვა, რომ წარსულ ამხანაგებიდან 11 კაცს მეტეხის ციხეში გაათენებინეს ღამე.

აი, როგორ ვატარებდით პირველ მაისობას თვითმპყრობელობის დროს. მსხვერპლი ამ დღეს ბევრი იყო, მაგრამ რევოლიუციის გზაზე მდგომი მუშათა კლასი არაფერს უშინდებოდა, რაკი ღრმათ იყო დარწმუნებული, რომ ადრე თუ გვიან თვითმპყრობელობას დაანგრევდა და თავისუფლებას მოიპოვებდა.

დღეს, როდესაც მუშათა კლასმა გაიმარჯვა საბჭოთა
კავშირში და წითელი დროშები თავისუფლათ ფრიალე-
ბენ, ჩვენ, ძველ რევოლიუციონერები უძახით ახალგაზრ-
ბენ, ჩვენ, ძველი რევოლიუციონერები უძახით ახალგაზრ
ლად მოფრიალე წითელი დროშების ირგვლივ და გასწი-
ეთ, სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებლობისაკენ.

გაუმარჯოს მთელ მსოფლიო მუშათა კლასის გაერთიანებულ დღესასწაულს—პირველ მაისს.

მთავარი სახელოსნოს მუშა

იაგორ ტორიკაშვილი.

# ბურჟუაზიის საფუძვლიანი შიში

საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტური პარტიის ბრწყინვალე გამარჯვებამ საფუძვლიანი შიში და აღშფოთება გამოიწვია ბურჟუაზიულ წრეებში. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ამას წინედ პუანკარემ თავის ერთ-ერთ საარჩევნო სიტყვაში განაცხადა: იმ ფრანგ მოქალაქეებმა, რომლებიც კომუნიზმის იდეებს იზიარებენ, რომ იცოდნენ, თუ რა საშინელებანი ხდება საბჭოთა რესპუბლიკებში, დაუყოვნებლივ აიღებდნენ ხელს თავიანთ რწმენაზე; რა თქმა უნდა პუანკარეს ზემოხსენებული სიტყვა წარმოადგენდა ერთგვარ მანევრს არჩევნების წინ მასების დასაშინებლად, მაგრამ პუანკარესა და მისი თანამოაზრეების სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის მუშათა კლასმა არა თუ დაუჯერა პუანკარეს რჩევა-დარიგებას კომუნისტური პარტიის მხარის დაჭერისათვის ხელის აღებაზე, არამედ ბრწყინვალე გამარჯვება არგუნა სწორედ კომუნისტურ პარტიას, რომელმაც მიმდინარე არჩევნებში მილიონზე მეტი ხმა მიიღო.

მართალია, საფრანგეთში არსებულ საარჩევნო კანონის მიხედვით კომუნისტურ პარტიას მომავალ პარლამენტში არ ეყოლება იმდენი დეპუტატი, რამდენიც ხმების მიხედვით ეკუთვნის მას, ვინაიდან, კონსტიტუციის თანახმად საფრანგეთში არჩევნები ხდება ოლქების მიხედვით და არჩევნებში გამარჯვებული გამოდის იმ პარტიის კანდიდატი, რომელმაც ამა თუ იმ ოლქში მიიღო ხმების აბსოლიუტური უმრავლესობა, ხოლო თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ასეთი უმრავლესობა ვერ შეკრიბა, იმ შემთხვევაში ხდება ხელ-ახალი კენჭის ყრა. ასეთ შემთხვევებში ბურჟუაზიული პარტიები ერთმანეთის სასარგებლოდ ხსნიან თავიანთ კანდიდატს და თანამიმდევარ ამომრჩევლებს მოუწოდებენ ხმა მისცენ იმ პარტიის კანდიდატს, რომლის სასარგებლოდ მოიხსნა სხვა კანდიდატები.

კომუნისტური პარტია ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება, მის სასარგებლოდ არც ერთი პარტია არ მოხსნის თავის კანდიდატებს. ამ მხრივ დამახასიათებელია თვით საფრანგეთის სოციალისტური პარტიის პოზიციაც, რომელსაც უფრო საჭიროდ მიაჩნია იმ ოლქებში, სადაც თვითონ ვერ გაყავს დეპუტატი, თავიანთი ხმები დაუთმონ რადიკალებს. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ენის დეპარტამენტის ორგანიზაციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ იმ ოლქებში, სადაც სოციალისტურ და რადიკალურ პარტიებს არ ძალუძთ თავიანთი დეპუტატის გაყვანა, დასაშვებად სთვლიან თავიანთი კანდიდატის მოხსნას, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამომრჩევლებს არ მოუწოდებენ თავიანთი ხმა მისცენ კომუნისტ დეპუტატს. ხოლო სადაც არჩევის შანსები აქვს რადიკალების კანდიდატს, სოციალისტები ამ კანდიდატის სასარგებლოდ მოუწოდებენ ამომრჩევლებს ხმის მიცემას.

აქედან აშკარაა, რომ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას უმჯობესად მიაჩნია პარლამენტში ბურჟუაზიული დეპუტატების რიცხვის გამრავლება, ვინემ კომუნისტების.

ასეთ პირობებში თავისთავად ცხადია, კომუნისტური პარტიის მიერ მიღებული ხმების საგრძნობი უმრავლესობა გაუქმდება და კომუნისტ დეპუტატები მომავალ პარლამენტში ვერ იქნებიან წარმოდგენილნი ისეთი რიცხვით, როგორიც მათ ხმებისა და ძალთა განწყობილების მიხედვით ეკუთვნით.

მაგრამ კომუნისტური პარტიისათვის ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, კომუნისტური ინტერნაციონალი და მასში გაერთიანებული სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიები საპარლამენტო ბრძოლაზე არ ამყარებენ დიდ იმედებს, მსგავსად რეფორმისტული პარტიებისა, რომლებიც უარყოფენ კლასთა ბრძოლას და რეფორმების გზით ლამობენ სოციალიზმის განხორციელებას. მიუხედავად ამისა, თუ კომპარტიები მაინც იღებენ არჩევნებში მონაწილეობას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გამოარკვეს ქვეყნის შიგნით არსებული ძალთა განწყობილება და დარაზმოს მუშათა კლასი მომავალ გადამწყვეტ ბრძოლისათვის ბურჟუაზიული წყობილების მოსასპობად და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

1924 წლის ივნისში მომხდარ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება წილად ხვდა ეგრედწოდებულ მემარცხენე ბლოკის პარტიებს. მაშინ, დეპუტატთა პალატაში 584 დეპუტატიდან მემარცხენე ბლოკის პარტიებმა გაიყვანეს 191 დეპუტატი. დანარჩენი მანდატები განაწილებული იყო შემდეგნაირად: კონსერვატორები — 15, ნაციონალურ ბლოკის პარტიებს (მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიები) — 195, სოციალისტებს—105, კომუნისტებს—26, სოციალისტ-კომუნისტებს — (ფროსარის ჯგუფი, რომლებიც გამორიცხულ იქნენ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიიდან მემარჯვენე გადახრისათვის)—3. მაშინდელი არჩევნები ჩატარდა საბჭოთა კავშირის ცნობისა და მასთან ურთიერთობის მოწესრიგების ლოზუნგით, რომლითაც დიდათ დაინტერესებული იყო რუსეთის ფასიან ქაღალდების ის წვრილი მესაკუთრეები, რომლებიც ძალზე დაზარალდენ ოქტომბრის რევოლიუციის შედეგებით მემარცხენე ბლოკის პარტიები მათ პირდებოდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას და ვალების საკითხის მოწესრიგებას, და წვრილბურჟუაზიულმა მასებმაც მხარი დაუჭირეს ხსენებულ პარტიებს.

მემარცხენე ბლოკის პირველი მთავრობა შესდგა რადიკალ - სოციალისტ—ერიოს მეთაურობით, რომელმაც იარსება 1925 წლის აპრილამდე. ერიოს მთავრობის დამსახურებათ მხოლოდ ის ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი; რაც შეეხება მემარცხენე ბლოკის მიერ ამომრჩევლებზე გაცემულ დანარჩენ თამასუქებს, ვერც ერთი მისი განხორციელება ერიოს მთავრობამ ვერ შესძლო.

ერიოს წვრილ - ბურჟუაზიული მთავრობა მართალია გაურბოდა მსხვილ ბურჟუაზიასთან აშკარა კონფლიქტს, მაგრამ მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ფინანსიური კაპიტალის წარმომადგენლებმა მემარცხენე ბლოკის მთავრობის შექმნას უპასუხეს თავიანთი კაპიტალის საფრანგეთიდან სხვა ქვეყნებში მასიური გაზიდვით და მით ნიადაგი მოუმზადეს ფრანკის კურსის კატასტროფიულ დაცემას.

საქმეს ვერ უშველა ერიოს მთავრობის გადადგომამ და მის ნაცვლად უფრო მემარჯვენე პენლევეს მთავრობის შექმნამ. პენლევეს მთავრობაში ფინანსთა მინისტრად მოიწვია ცნობილი ფინანსისტი კაიო, რომელიც წინააღმდეგი იყო ფრანკის კურსის გასამაგრებლად კაპიტალის ერთდროული დაბეგვრის, ხოლო მთავრობის დანარჩენი წევრები ამ ზომას სიტყვით მაინც უჭერდა მხარს. კაიო გავიდა მთავრობიდან და მოხდა პენლევეს მთავრობის რეორგანიზაცია. საერთოდ პენლევეს კაბინეტმა იარსება 1925 წლის 28 ნოემბრამდე, რომლის გადადგომის შემდეგ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა გაიძვერა დიპლომატი და ორ სკამზე მჯდომი ბრიანი.

არც ბრიანის მთავრობას გაუღიმა ბედმა, მანაც ვერ შესძლო აწეწილ ფინანსიური მდგომარეობის გამოსწორება და მემარცხენე ბლოკი იძულებული გახდა „ქვეყნის მხსნელის" როლში გამოეყვანა რეაქციონერი პუანკარე.

ასე სამარცხვინოთ დაასრულა მემარცხენე ბლოკმა თავისი გამარჯვების ნაყოფი. ხოლო ამ ბლოკის პოლიტიკას ყოველმხრივ მხარს უჭერდა და ეხმარებოდა საფრანგეთის სოციალისტური პარტია.

დღიდან ჩამოყალიბებისა პუანკარეს მთავრობა ენერგიულად შეუდგა ფრანკის კურსის სტაბილიზაციის საქმეს. მან გადასახადების მთელი სიმძიმე გადაიტანა საფრანგეთის მშრომელ მასებზე და ამ გზით მართლაც მოახერხა ფრანკის რეალური ღირებულების აწევა. ამით პუანკარემ, რომლის სახელი და დიდება საფრანგეთში გაიზარდა ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს, კიდევ უფრო განამტკიცა თავისი ავტორიტეტი და ის სამშობლოს მხსნელად იქნა აღიარებული (იგულისხმეთ ბურჟუაზიული სამშობლო). ამიტომ მიმდინარე არჩევნებში მემარცხენე ბლოკს გამოეცალა ყოველგვარი ნიადაგი ხელახლა გამარჯვებისათვის, რასაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ერთი გამოეყო რადიკალ-სოციალისტების პარტიას და არჩევნებში საკუთარი სიით გამოვიდა გაცილებით უფრო მემარჯვენე პროგრამით.

მიმდინარე საპარლამენტო არჩევნები საფრანგეთში არ ჩატარებულა ბურჟუაზიულ პარტიებს შორის ჩვეულებრივი ბრძოლით, სამაგიეროდ არსებობდა ერთი მთლიანი ფრონტი კონსერვატორებიდან დაწყებული თვით სოციალისტურ პარტიამდე — კომპარტიის წინააღმდეგ. პუანკარეს მთავრობამ წინასწარ მიიღო ზომები კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად. პალატის სესიის დასრულებისთანავე დააპატიმრეს კომუნისტი დეპუტატები და კომპარტიის აქტიური წევრები, ბურჟუაზიული პრესა ავრცელებდა ათასგვარ ჭორებს როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ისე კომპარტიის წინააღმდეგაც, აწყობდენ კომუნისტების გასამართლებებს და კომპარტიის ლიდერებს ბრალს სდებდენ „სახელმწიფო ღალატში“.

მიუხედავად ასეთი რეპრესიული ზომებისა, კომპარტიამ მაინც უდიდეს შედეგებს მიაღწია. მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა, რომლებმაც ხმა მისცეს კომპარტიის კანდიდატებს, ესენი არიან ის პროლეტარები, რომლებმაც ნათლად შეიგნეს სოციალისტური პარტიის მატყუარობა და საბოლოოდ შეაქციეს ზურგი ამ **პარტიას.**

კომპარტიის ასეთი გამარჯვებით ძალზე შეშფოთებულია ბურჟუაზიული წრეები. ისინი თავიანთ პრესაში უკვე აღარ მალავენ თავიანთ შიშს და მოუწოდებენ მემარჯვენე პარტიებს, ფხიზლად იყვნენ, რომ ხელმეორე კენჭის ყრის დროს ძალა არ მოიკრიბონ მემარცხენეებმა.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, საფრანგეთში არსებულ კომბინაციურ საარჩევნო კანონით, რომელსაც ისინი საყოველთაო და პირდაპირ არჩევნებს უწოდებენ, რეაქციონერებს შიში არ უნდა ქონდეთ, რომ პუანკარეს მთავრობას დღეს-დღეობით რაიმე საფრთხე მოელოდეს, მაგრამ ამ არჩევნებმა ერთი რამ მაინც გამოაშკარავა, სახელდობრ ის, რომ რეფორმისტების ლაყბობა დემოკრატიის გაძლიერების შესახებ საბოლოოდ ჩაბარდა ისტორიას. პაციფისტური ერა აწი იშვიათად განმეორდება ისტორიაში. რაც დრო გადის, მით უფრო აშკარა ხდება მთელი მსოფლიოს ორ ბანაკად გაყოფა. ერთ მხარეზე თავს იყრის ყველა რეაქციონური ძალები ფაშიზმის სახით, მათ გვერდში უდგას აგრეთვე რეფორმისტული პარტიებიც თავიანთი შეთხელებული რიგებით, ხოლო მეორე მხრით გადამწყვეტი ბრძოლისათვის ირაზმება მუშათა კლასი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური ინტერნაციონალი და მასში გაერთიანებული სექციები. საფრანგეთში მომხდარ არჩევნებმა ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ნათელყო და ამაშია მისი დადებითი მნიშვნელობა.

კომპარტიები ძლიერდება რეფორმისტული პარტიების ხარჯზე. რეფორმისტები დღითი-დღე კარგავენ გავლენას მშრომელ მასებზე. რაც უფრო ადრე დასრულდება ეს პროცესი, მით უფრო მალე მოეღება ბოლო კაპიტალიზმის ბატონობას და ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიების უმთავრესი ყურადღება ამჟამად სწორედ ამ პროცესის მალე დასრულებისაკენ უნდა იქნას მიპყრობილი.

**ს. ელიაძე.**

# ძველი უაზრობა ახალ სამოსელში

**IV.**

ახლა ბამბის შესახებაც მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას

მოქ. ჭუმბურიძის გამოანგარიშებით, გლეხს ბამბა უჯდება 7 მანეთი. ფასს კი იღებს ფუთზე არა უმეტეს 4 მ. 80 კაპ. ესე იგი ზარალობს თვითოეულ ფუთზე 2 მან. 20 კაპ.

რას ნიშნავს ეს?

მებამბეობის კომიტეტის ცნობების მიხედვით, საშუალო რიცხვით დესიატინაზე უნდა ვიანგარიშოთ 22,6 ფუთი ბამბა (1924—25 წ.წ. 22,2 ფ., 1925—26 წწ..— 25,1 1926—27 წწ..— 18,4 და 1927—28 წწ..—24,9 ფუთი). აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხი თვითოეულ დესიატინაზე ზარალობს დაახლოებით 50 მანეთს.

თუ მოქ. ჭუმბურიძის გამოკვლევა მართალია, საფიქრებელი იყო, რომ გლეხს პირველი ზარალიანი წლის შემდეგ მწარე გამოცდილება აიძულებდა, რომ ასეთი საზარალო მეურნეობისათვის თავი მიენებებია.

ციფრები სრულიად წინააღმდეგს გვაჩვენებენ. ვნახოთ როგორ იზრდება ბამბის ნათესის სივრცე საქართველოში 1924-დან 1927 წლამდე:

| 1924—25 წწ.. | 1925—26 წწ.. | 1926—27 წწ. |
|---|---|---|
| 5.531 დესეტინა | 5.862 დეს. | 7018 დეს. |

როგორც ხედავთ, გლეხი არა თუ თავს არ ანებებს ამ ჭუმბურიძის „გამოკვლევით“ რომ საქმეს შევხედოთ, დამღუპველ მეურნეობას, პირიქით ის უფრო მეტის ენერგიით ეკიდება მებამბეობის საქმეს. რაც იქიდან სჩანს, რომ ბამბის ნათესების სივრცე წლითი-წლობით იზრდება; ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მებამბეთა რიცხვი თანდათან იზრდება.

რას გვაჩვენებს ეს ფაქტი?

ეს იმას გვაჩვენებს, რომ გლეხს საზარალოთ არ მიაჩნია ბამბის მეურნეობა. თუ ეს ასე არ იყოს, დამერწმუნეთ, რომ ვერავითარი ძალდატანებით თქვენ მას ვერ აიძულებდით, ეს მისი დამღუპველი ექსპერიმენტი მეორე და მესამე წელსაც გაემეორებია. ის პირველი ცდისთანავე მიანებებდა თავს მებამბეობას და ხორბლეულის კულტურას დაუბრუნდებოდა. ვისაც ეს არა სჯერა, მან არ იცის, რომ გლეხი უდიდესი ეკონომისტია, ყოველ შემთხვევაში უფრო მცოდნე ვიდრე ისინი, რომლების შესახებაც ჩვენ ზემოთ მოგახსენეთ.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ თანდათან ფართოვდება ბამბის ნათესის არე, თანდათან იზრდება მებამბე გლეხების რიცხვიც. მიბრძანდით მებამბეობის კომიტეტში და თქვენ იქ შავით თეთრზე დაწერილს დაინახავთ, რომ ეს კომიტეტი იძულებული გამხდარა როგორც საანგარიშო წელს (1927—1928), ისე მომავალი 1928—1929 წწ.. ძალით შეამციროს მებამბე გლეხების რიცხვი. იმავე კომიტეტის ანგარიშიდან ჩვენ ვხედავთ, რომ 1926—27 წწ.. საქართველოში 7.018 დესიატინა ბამბა ყოფილა დათესილი. ამდენი სივრცის მოსარწყავათ საკმაო წყალი არ აღმოჩენილა და სხვა მიზეზებს შორის ამ გარემოებასაც არ უთამაშნია უკანასკნელი როლი იმაში, რომ წარსული წლის ბამბის მოსავალს საერთოდ უკლია: დესიატინაზე საშუალო რიცხვით მხოლოდ 18.4 ფუთი მოსულა, მაშინ,

როდესაც 1925—26 წწ. დესიატინაზე 25,1 ფუთი ბამბა მივიღია.

ეტყობა ამ გარემოებამ მებამბეობის კომიტეტი აიძულა საქმეს უფრო წინდახედულად მოპყრობოდა და ხელი არ მოეკიდებია იმდენი სივრცისთვის, რომელსაც ვერ მოუვლიდა. ეს არის მიზეზი, რომ 1927—28 წწ.. ბამბის ნათესის სივრცე 7.018 დეს. 5.490 დესიატინამდე დაუყვანია. კომიტეტი დღესაც ამ გზას ადგია და ასობით უუბნება უარს ბამბის დათესვის მსურველ გლეხებს.

რას გვეუბნება ეს უკანასკნელი გარემოებაც?

იმას, რომ ბამბის კულტურა გლეხისათვის ზედმიწევნით სასარგებლოა, რომ ის გაცილებით მეტს აძლევს მას, ვიდრე ხორბლეულის კულტურა...

სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ნაწარმოების თვითღირებულება, სამწუხაროდ, ჯერ ჩვენ შესწავლილი არა გვაქვს. ერთობ ძნელი საქმეა. მაგრამ იგი შესწავლილი უნდა იქნეს. უამისოდ ჩვენ შორს ვერ წავალთ... დღევანდელი „კალკულიაცია“ კი, რუსები რომ იტყვიან: с потолка списаны-ო, მხოლოდ ის არის. აქ ერთად-ერთი წყარო საქმის შესასწავლად თვით სოფლის მეურნეა, რომელსაც როგორც მოესურვება ისე აფასებს თავის შრომას. მან იცის, რომ ქალაქში მუშა-ხელი ორი მანეთი ღირს. ისიც ვისზე ნაკლებია? ისიც ხომ მუშაა? მაშასადამე ისიც დღეში თავის შრომას ორ მანეთად აფასებს. ერთ უღელ ხარს დღეში 5 მანეთად ანგარიშობს და ასე ბოლომდე.

ჩვენც, მეტი რა ჩარა გვაქვს, სხვა წყაროების უქონლობის გამო ვიღებთ ამ ციფრებს, ცოტა რამეს მოვაკლებთ მას ისე, როგორც აფხაზეთის თამბაქოს „კალკულიაციის“ გამოკვლევის დროს მოუქმედებიათ, თვით პლანტატორის შრომის ხელფასს დაქირავებულ მუშის ხელფასთან შედარებით 15 პროცენტს ვაკლებთ, დახარჯულ კაპიტალზე კი 20 პროცენტს ვუმატებთ და ამ კომბინაციების შემდეგ მიღებულ ციფრებზე ვამყარებთ ჩვენს „გამოკვლევებს“.

აშკარაა, რომ საქმისთვის ასეთი მიდგომა შეუძლებელი და მიუღებელია. ასეთ წყაროებზე დაყრდნობა ჩვენ ყოველთვის კისერს მოგვატეხიებს, ესე-იგი მოგვცემს ისეთ შედეგებს, როგორიც მიუღია მოქალაქე ქუმბურიძეს.

სოფლის მეურნე გლეხის შრომა არ შეიძლება დავაფასოთ იმ თვალსაზრისით, როგორითაც ფასდება ქალაქში დაქირავებული მუშის შრომა. ეს უკანასკნელი მუშაობს განსაზღვრულ დროს განმავლობაში, იღებს წინდაწინ გადაწყვეტილ ხელფასს. მან წინდაწინ იცის: რამდენს იმუშავებს, რამდენს მიიღებს. მწარმოებელმა წააგოს, თუ მოიგოს მისთვის ეს სულერთია. ის თავისას მაინც მოითხოვს, თუ არ მისცენ, ძალით წაიღებს.

სულ სხვა პირობებში უხდება მუშაობა სოფლის მეურნე გლეხს. დავიწყოთ იქედან, რომ მას საქმე აქვს არა მწარმოებელთან, არა ადამიანთან, რომელსაც ის შეებრძოლება მაინც, უჩივლებს, ან მოკლავს ან ზედ შეაკვდება, არამედ მას საქმე აქვს უსულო და უგულო ბუნებასთან, რომელსაც „კოლექტიურ ხელშეკრულებას“ ვერ დაუდებს. ის მუდამ დღე და ღამე მუშაობს, მოსვენება არა აქვს. თავს ევლება თავის ყანა-ბოსტანს. ის მარტო კი არ მუშაობს: მას ეხმარება ცოლი, შვილი, ოჯახის ყველა წევრები.

სამწუხაროდ ამ გლეხისა და მისი ოჯახის ყველა წევრების შრომა არასოდეს არ ფასდება ღირსეულად. ყველა მათი შრომა რომ დავაფასოთ, იცით რა ეღირება გლეხის ჭირნახული, თუ გნებავთ სიმინდი? ორჯერ და სამჯერ მეტი, ვიდრე იგი ბაზარზე ფასობს...

ამისდა მიუხედავად სოფლის მეურნე გლეხი მაინც კმაყოფილია. ის მაინც გაცილებით უფრო ძლიერად თვლის თავს, ვიდრე ქალაქის მუშა.

რატომ? იმიტომ, რომ სოფლის მეურნე გლეხს ინვენტარი აქვს. მას აქვს ფუძე: სახლ-კარი, მიწა-წყალი. მას ისე ადვილად ვერ მოერევა თვით უგულო ბუნების სიმკაცრეც კი მაშის, როცა ქალაქის მუშა ხშირად ვერ უძლებს სულ ცოტა დროებით უმუშევრობასაც კი...

ამ ორ კატეგორიის მუშებს შორის თანასწორობის ნიშნის დასმა შეუძლებელია. მათ შორის განსხვავება თვით ბუნების კანონსავით გადაუვალია. ამიტომ არის, რომ სოფლის მეურნე გლეხი უფრო იაფად აფასებს თავის შრომას, ვიდრე ქალაქის მუშა, რომელსაც არც ინვენტარი გააჩნია და არც ფუძე, რომელსაც გარდა თავისი ორი დაკორჟებული ხელებისა არაფერი გააჩნია...

თუ ყოველივე ამას ანგარიშს გაუწევთ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ თვით გლეხი სასარგებლოდ თვლის ბამბისა და თამბაქოს კულტურას, — უამისოდ კი იგი ხორბლეულობის კულტურას არ დაგდებდა, ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ მებამბეობა და მეთამბაქეობა მეურნისათვის არა თუ საზარალო არ არის, პირიქით, მოსაძები და ხელსაყრელი საქმეა.

რა თქმა უნდა, ამ საქმეში უკანასკნელ როლს არ უნდა თამაშობდეს ის სხვადასხვა გვარი დახმარებები, რომელსაც სახელმწიფო უწევს მებამბე გლეხებს და რომელიც, როგორც ქვემოდ დავინახავთ, არც ისე ყბად ასაღები და წყალ-წასაღებია, როგორც ამას მოქ. ქუმბურიძე გვეუბნება.

მართლაც რა დახმარებას იღებს ბამბის მთესველი გლეხი?

აი ამ დახმარებათა მოკლე ნუსხა:

1. აგრონომიული დახმარება და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლა.

2. მიწის გასანოყიერებელი მასალების მიწოდება იაფ ფასებში.

3. სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამქირავებელი პუნქტების მოწყობა.

4. იაფ-ფასიანი ხორბლისა თესლეულების მიწოდება.

საინტერესოა ვიცოდეთ თუ რა იხარჯება მარტო **აგრონომიულ დახმარებაზე და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საქმეში?**

მებამბეობის კომიტეტს მარტოდ-მარტო ამ საგანზე ბამბის რაიონებში დაუხარჯავს ჩერვ. მანეთებში:

| | 1924-25 წ. | 1925-26 წ. | 1926-27 წ. | 1927-28წ. |
|---|---|---|---|---|
| აზერბეიჯ. | 79.000 | 103.000 | 141.000 | 324.000 |
| სომხეთი | 40.000 | 44.000 | 46.000 | 130.000 |
| საქართვ. | 14.000 | 19.000 | 21.000 | 54.000 |
| სულ ა-აკვ: | 133.00 | 166.000 | 208.000 | 508.000 |

ამ ციფრში არ შედის ის დახმარება, რომელსაც მებამბე გლეხებს უწევს მიწად-მოქმედების კომისარიატი.

მარტო ამ პირველ მუხლში ნაგულისხმები დახმარებიდან კერძოთ საქართველოში ერთ ფუთ ნედლეულზე 1927—1928 წ. წ.მოდის 50 კაპ., რაც ემატება მებამბე გლეხობის ბიუჯეტს. ეს ციფრი, დამეთანხმებით, არც ისე სასაცილოა, როგორც ეს მოქ. ქუმბურიძეს გონია.

ახლა გადავიდეთ სხვა დახმარებებზე.

მიწის გასანოყიერებელი მასალები (удобрительные материалы). რომელიც თვითონ სახელმწიფოს უჯდება საშუალოთ 1 მან. 17 კაპ. ფუთი, გლეხს ეძლევა 60 კაპ., ესე-იგი დაახლოებით ნახევარ ფასათ და ისიც მან უნდა გადაიხადოს მხოლოდ ორი წლის განმავლობაში... ამას გარდა მებამბეობის კომიტეტს ყოველ რაიონში ყავს თავისი აგრონომები, რომლებიც, როგორც სპეციალისტები, ხელმძღვანელობენ ბამბის კულტურის საქმეს. მებამბეობის ყველა რაიონებში შექმნილია სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების გამქირავებელ პუნქტებით, რომლითაც მეურნე გლეხი სარგებლობს უაღრესად შეღავათიანი პირობებით. აგრეთვე შექმნილია სასელექციო და სათესლე მასალის დიდი მეურნეობები, სადაც მეურნე გლეხებს უხსნიან სხვადასხვა ჯიშის ბამბის თესლის უპირატესობას ადგილობრივი პირობების მიხედვით და აწვდიან გლეხებს გამოცდილსა და კარგად შესწავლილ თესლს...

და ბოლოს, ყველა აქ ჩამოთვლილს გარდა, სახელმწიფო ეხმარება ბამბის მთესველ გლეხებს იაფ-ფასიანი პურისა და ფართლეულობის მიწოდებით. რომ ეს დახმარება ფიქცია არ არის ამას ჩვენ ცხადად დავინახავთ ქვემოთ მოყვანილ ცნობებიდან.

მებამბეობის რაიონებში შეზიდული იქნა ხორბალი ფუთობით:

| | 1924-25 წ. | 1925-26 წ. | 1926-27 წ. | 1927-28 წ. |
|---|---|---|---|---|
| აზერბეიჯ. | 827.000 | 958.000 | 675.000 | 1.685.000 |
| სომხეთში | 315.000 | 470.000 | 235.000 | 365.000 |
| საქართვ. | 113.000 | 164.000 | 60.000 | 75.000 |
| სულ ა.-კ. | 1.235.000 | 1.592.000 | 970.000 | 1.525.000 |

ხორბალი ბამბის მთესველ გლეხს ეძლევა ფუთი 1 მ. 50 კაპ. მაშინ, როდესაც კერძო ბაზარზე ფუთი ხორბალი იყიდება არანაკლები 3—4 მანეთისა. ეს კი საშუალოთ თვითოეულ მეურნეობაზე შეადგენს 30—40 მანეთ წმინდა მოგებას. და ეს მარტო ხორბალზე.

ასეთ დახმარებას მოქ. ჭუმბურიძე მხოლოდ „ფსიქოლოგიურ“ მნიშვნელობას აძლევს.

„აქ მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დამმზადებლების იაფი პურეულობით მომარაგებას, მაგრამ ეს მნიშვნელობა უფრო **ფსიქოლოგიურია**, რადგან უკანასკნელ ხანებში ამ მომარაგებამ **უვარგისი საქონლის გასაღების ხასიათი მიიღო** ბამბის რაიონებში“. (ხაზს ჩვენ ვუსვამთ) (იხ.—„საქართველოს ეკონომისტი“, №1 (17), გვ. 42).

მოქ. ჭუმბურიძის ასეთი განცხადება ჩვენ ყოვლად უსამართლოთ და უსაფუძვლოთ მიგვაჩნია. მართალია, იყო შემთხვევა, როცა ერთი რომელიღაც რაიონში შეტანილი ერთი პარტია ხორბალი ცუდი ღირსებისა გამოდგა. ეს საქმე მალე გამოსწორებულ იქნა და მოქ. ჭუმბურიძემ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ამის შესახებ ადგილობრივ პრესაშიც იყო ლაპარაკი.

ერთი ასეთი შემთხვევის გასაზოგადოებრივება და მთელი სისტემის ასე გაბითურება, მხოლოდ მოქ. ჭუმბურიძის მეტი აჩქარებითა და წინდაუხედაობით თუ აიხსნება, რაც მკვლევარისთვის, და ისიც ჩვენს პირობებში, როცა ყოველიფერი ხელახლა შესასწავლი გვაქვს, მეტის მეტად სახიფათოთ უნდა ჩაითვალოს...

ჯერ-ჯერობით ამით ვათავებთ „საქართველოს ეკონომისტის“ ორ ეკონომისტთან საუბარს, იქვე არა გვაქვს, რომ დასახელებული ეკონომისტები შეეცდებიან იმის დამტკიცებას, რომ ჩვენ ვცდებით და ისინი კი მართალი არიან... ვარწმუნებთ როგორც ს. დევდარიანსა და ჭუმბურიძეს, ისე ყველა ჩვენს მკითხველებს, რომ ამის ქვემორე ხელის მომწერს შესწევს გამბედაობა საქვეყნოდ აღიაროს თავისი შეცდომა და ბოდიში მოიხადოს თავის ოპონენტებთან თუ ისინი ამის ღირსი იქნებიან. როცა საქმე ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესებს შეეხება, პირადი თავმოყვარეობა რა მოსატანია?..

მაგრამ სანამ ს. დევდარიანსა და **ჭუმბურიძეს ჩვენი** [illegible] და არგუმენტების სიყალბე თუ [illegible] არ დაუმტკიცებიათ, ჩვენ ვთქვით და ვიმეორებთ:

მოქ. დევდარიანის აზრები იმის შესახებ, რომ საქართველო უნდა დარჩეს **„ნედლეულის არეთ“**, რომ მან უნდა უარყოს ინდუსტრიალიზაციაზე ოცნებობა, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის დამღუპველია. ყველა შეგნებული ქართველი მთელის ძალ-ღონით უნდა შეებრძოლოს ს. დევდარიანის ამ უნათო აზრის არა თუ განხორციელებას, მისი ხმა-მაღლა გამოთქმასაც-კი...

ჩვენ ვამბობთ და ვიტყვით:

მოქ. ჭუმბურიძეს არავითარი საბუთი არ ქონდა დაეწერა ის, რაც დასწერა. მას არ მოეპოვებოდა არავითარი სერიოზული მასალა თავისი მეტი რომ არა ვთქვათ, უღარისად პესიმისტური დასკვნებისათვის.

ეს არის ჩვენი დასკვნა.

დაამტკიცეთ, რომ ჩვენ ვცდებით.

სიტყვა თქვენ გეკუთვნით, მოქალაქენო!

**ყარიბი.**

# თვითკრიტიკის ლოზუნგი და სოციალისტური მშენებლობა

ამ მოკლე ხანში **დამთავრდა** კომპარტიის ცეკასა **და** ცენტრალურ საკონტროლო კომისიის **პლენუმი, რომელმაც** აქტიურად **წამოაყენა** ლოზუნგი თვითკრიტიკის შესახებ.

**როგორც ამხ. სტალინი აღნიშნავს** ეს ლოზუნგი, **„არ ახალია**, ძველია“, იგი წამოყენებულ იქნა სახელმძღვანელოდ ჯერ კიდევ პარტიის მე-15 ყრილობის მიერ, ხოლო უკანასკნელი პლენუმი მას ერთხელ კიდევ შეეხო და ხაზგასმით გვიკარნახა.

„თვითკრიტიკის ლოზუნგი,—ამბობს ამხ. სტალინი, —არ არის ახალი ლოზუნგი, ის გამომდინარეობს თვით ბოლშევიკური პარტის ბუნებიდან“. „თვითკრიტიკა ჩვენთვის საჭიროა როგორც ჰაერი, როგორც წყალი, მე ვფიქრობ თვითკრიტიკის გარეშე ჩვენი პარტია წინ ვერ წაიწევდა, ის ვერ შესძლებდა გამოემჟღავნებია ჩვენი იარები, შებრძოლებოდა და გაექარწყლებია ჩვენი ნაკლოვანებანი. ნაკლი კი ჩვენ ბევრი გვაქვს, ეს უნდა ითქვას პირდაპირ და გულწრფელად“.

ასე ხსნის ამხ. სტალინი თვითკრიტიკის საჭიროებას, მის აუცილებლობასა და სარგებლობას.

თვითკრიტიკა მართლაც რომ არ ახალია, ძველია, იგი თან სდევდა ბოლშევიკურ პარტიას. ულმობელი კრიტიკა იყო მისი ბასრი იარაღი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. თვითკრიტიკა იყო საუკეთესო საშუალება საკუთარი ნაკლის დასაძლევად, მომავალი შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ბოლშევიზმმა მოგვცა თვითკრიტიკის იშვიათი მაგალითები, უჩვეულო შემთხვევები.

[illegible]ულოთ პარალელები: უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი, ბრესტის ხელშეკრულება.

**რა იყო უკანასკნელი? უმაგალითო** თვითკრიტიკა **პირველის და... მდგომარეობიდან** გენიალური გამოსავალი!

სამხედრო კომუნიზმი—ნეპი. როგორ მოხდა ეს გადასვლა? ულმობელი თვითკრიტიკის საშუალებით!

დროგამოშვებით კომუნისტური პარტია ახდენს თავის რიგების წმენდას, რკინის ცოცხით ერეკება ის თავის წრიდან უცხო ელემენტებს.

პოლიტიკური პარტიების ისტორიაში, ეს სრულიად ახალი და გაუგონარი ამბავია. სოციალ - დემოკრატიას ან სხვა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ჩვენში არას დროს არ მიუმართავს ასეთ ზომისთვის: ყველა იხვეწებოდა: მობრძანდით, პარტიაში ჩაეწერეთო, თვეობითა და წლობით კაცი საწევრო გადასახადს არ იხდიდა, ყოველ ფეხის გადადგმაზე დისციპლინას არღვევდა, პარტიაში მაინც რჩებოდა, წმენდას ვინ გაბედავდა ან ვინ მოიფიქრებდა, როცა ყველას წმინდანად მოჰქონდა თავი!...

სოციალ - დემოკრატია ყოველთვის მართალი იყო, ის არას დროს არ შემცდარა, ასე ფიქრობდა ის. ამიტომ თვითკრიტიკა, მით უფრო ისეთი მკაცრი თვითკრიტიკა, როგორც არის პარტიის წმენდა—მან არ იცოდა.

სოციალ-დემოკრატია ერთს დროს მოითხოვდა ჩვენში არ არსებულ ჩამონაჭრებს, ცხოვრებამ ეს მოთხოვნილება გააბათილა, თვით მენშევიკებმა იგი უარყვეს. სთქვა კი ოდესმე მენშევიკურმა პარტიამ, რომ ჩამონაჭრების მოთხოვნა შეცდომა იყოო? არა, და არა!.

**ავტონომია და ფედერაცია მენშევიკებს სასაცილოდ არ ყოფნიდათ.**

ცხოვრებამ ესეც უარყო. აღიარა თუ არა სოციალ-

დემოკრატიამ თავისი შეცდომა? რა თქმა უნდა არა!

1921 წელს მენშევიკებმა უდიდესი შეცდომა ჩაიდინეს იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას გვერდში არ ამოუდგენ. აღიარეს თუ არა ეს მენშევიზმის ოფიციალურმა ლიდერებმა? რა თქმა უნდა არა!...

1924 წელს მენშევიკებმა ისტორიული დანაშაული ჩაიდინეს. ეყოთ თუ არა მათ ლიდერებს მოქალაქობრივი გამბედაობა თავისი მოქმედება გაეკრიტიკებიათ? რა თქმა უნდა არა!

შეცდომების აღიარება, თავის მოქმედების კრიტიკა მენეშვიკებისათვის სრულებით უცხო ხილია ცხადია, როცა ყველა ამის შემდეგ კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება აყენებს ლოზუნგს კრიტიკისა და თვითკრიტიკის შესახებ—ეს უნდა ჩაითვალოს უდიდეს ნაბიჯად, რომელიც ათეული წლებით გვაახლოვებს სოციალიზმს.

ეს ნაბიჯი არა ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე სამხედრო კომუნიზმის უარყოფა.

თვითკრიტიკა არის ორნაირი: თვითკრიტიკა პასიური, თვითკრიტიკა ჰამლეტების და თვითკრიტიკა აქტიური, რევოლიუციონური.

თვით ანალიზმმა და რეფლექსმა მოინელა მრავალი ინტელიგენტი რუსეთში. ტურგენევის რუდინები მხოლოდ თვითანალიზით იქცევდენ თავს. ისინი იქექებოდენ საკუთარ მორალურ არქივში, ამხელდენ თავის თავს ათასს ცოდვაში და აწარმოებდენ დაუნდობელ ბრძოლას... თავის თავის წინააღმდეგ!...

ეს ის ხალხია, რომელმაც ჩვენს ვერ მოერია და უნაგირს ამტვრევდა. მათ აღარ ჰქონდათ საზოგადოებრივი ბრძოლის უნარი, არ ჰქონდათ პერსპექტივა. ობლომოვები ისხდენ და მუცელს იხეთქავდენ, რუდინები ისხდენ და თავის თავს აკრიტიკებდენ, ორივენი კი უმოქმედონი იყვნენ. სწორედ მათ შესახებ სთქვა პოეტმა:

Суждены вам благие порывы, но совершить ничево не дано.

მაგრამ არის თვითკრიტიკა მეორენაირი: აქტიური, რევოლიუციონური. შეიგნო შენი შეცდომები, ამხილო შენი ნაკლი, გაამათრახო საკუთარი თავი ჩადენილ შეცდომებისათვის, რათა გასწიო წინ ახალი გამარჯვებისაკენ გამოცდილებით და მოქმედების უნარით აღსავსე—ეს არის უდიდესი გმირობა, რომელიც შეუძლია მხოლოდ რჩეულთ. ასეთი რჩეული არის და უნდა იყოს სოციალიზმის მშენებელი კლასი. ჭეშმარიტად, მისთვის თვითკრიტიკა, ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი და წყალი!

თვითკრიტიკა არის საუკეთესო იარაღი ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში;.

იგია მძლავრი ბერკეტი სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

კომკავშირის ყრილობაზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელმა კურიოზული ფაქტები მოიყვანა: ერთ-ერთ დაწესებულებას შეუდგენია ანკეტა, რომელიც 27000 **კითხვას** შეიცავს, მეორ ორგანიზაციას შეუდგენია ანკეტა, რომლის შევსებას მოუნდება ერთი კაცის მუშაობა 360 წლის განმავლობაში, ხოლო მესამე დაწესებულება სწერს საამზრო აღმასკომებს გვაცნობეთ რამდენია თქვენს მაზრაში ძგელი, მათ შორის რამდენია ძუ და რამდენია ხვადიო.

ასეთ საქმიანობას ბოლოს მოუღებს მხოლოდ ჯანსაღი კრიტიკა, კრიტიკა რომლის მიზანი იქნება არა ხელის შეშლა, არა დანგრევა და არევ-დარევის შეტანა, არამედ დახმარება, საქმის წინწაწევა და აპარატის გაუმჯობესება

თვითკრიტიკა იქნება საბჭოთა საზოგადოებრივობის ინსპექცია, რომელიც ფრიად გაუადვილებს მუშაობას მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

თვითკრიტიკა და კრიტიკა, რა თქმა უნდა არ მოეწონება ისეთ ბიუროკრატს, რომელიც ფიქრობს: მე ვარ და ჩემი ნაბადიო და ყოველ ამხანაგურ შენიშვნაში „მისი უდიდებულესობის რევოლიუციის“ შეურაცყოფას ხედავს. ასეთი ბიუროკრატი, ყოველ კრიტიკის დანახვაზე ყალყზე დადგება, ის შეიძლება შეტევაზედაც გადავიდეს. და თავის ან სხვის ჯოხს მიმართოს. ეს რომ შესაძლებელია—ამას მოწმობს არა ერთი მუშკორის ბედი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მტკიცედ უნდა დავიმახსოვროთ და სასტიკად უნდა გავატაროთ ცხოვრებაში ამხ. რიკოვის დებულება, რომელიც ამბობს:

„კრიტიკას სრულებით არ უნდა მოყვეს ის, რომ ისინი, ვინც კრიტიკას ეწევიან ან ისინი, ვისაც აკრიტიკებენ, დაუყოვნებლივ სამსახურიდან მოხსნან. ჩვენ ვაკრიტიკებთ და ძლიერ ვაგინებთ ბევრ ამხანაგს ცალკე შეცდომებისათვის, მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ისინი დაუყოვნებლივ სამსახურიდან უნდა დავითხოვოთო“.

რა თქმა უნდა თვითკრიტიკა და კრიტიკა ზედმეტი ბარგია იმათთვის, ვინც ფიქრობს: „გაგვშორდით, ოღონდ გაგვშორდით და თან წაიღეთ თქვენი ზაჰესიო (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო“, № 26).

ეს ის ხალხია, რომელიც ვერ ხედავს იმას, რასაც ყველა ხედავს და უარყოფს იმას, რაც ყოველი ხეირიანი ქართველისათვის მისაღებია!.

მაგრამ რაც შეეხება საბჭოთა კავშირის მშრომელთ, ყველა იმათ, ვისაც აინტერესებს ქვეყნის აღორძინება და სოციალიზმის გამარჯვება, ისინი არ შეიძლება უდიდესი სიამოვნებით და აღტაცებით არ შეხვდენ თვითკრიტიკის ლოზუნგს, ვინაიდან იგი არის ის სხივი, ურომლისოდ სოციალისტური მშენებლობა—ეს ახალი და უპრეცედენტო საქმე ფრთებს ვერ გაშლის და თავის დიად მიზანს ვერ მიაღწევს.

თვითკრიტიკა მაჩვენებელია ძლიერების და გულისხმობს უდიდეს ძირითად მორალურ კაპიტალს. იგი მიუღებელია მხოლოდ სულით ღატაკთა და საზოგადოებრივ ინვალიდთათვის!...

ლეო შენგელაია.

# ჩვენი მრეწველობის 5-წლიანი გეგმისათვის

VI

**თამბაქოს მრეწველობას,** ჩვენი ნედლეულის მარაგისა და თამბაქოს ღირსების მიხედვით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს, ვიდრე ამას სინამდვილეში აქვს ადგილი. თამბაქოს წლიური მოსავალი ჩვენში 600—700 ათას ფუთს უდრის და აქედან ჩვენში მუშავდება და ფაბრიკატის სახით გამოდის ბაზარზე მხოლოდ ერთი მეშვიდედი. დანარჩენი როგორც ნედლეული ან საზღვარგარეთ გადის (უმთავრესად აფხაზეთის მოსავალი), ან კავშირის სხვა რესპუბლიკებში. საქართველოს თამბაქოს ტრესტის საწარმოო წლიური პროდუქცია შეადგენს ერთ მილიარდს და 750 მილიონ ცალ პაპიროსს, და, როგორც უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებას. ჩვენთვისაც რა თქმა უნდა, მეტად ხელსაყრელია მრეწველობის ამ დარგის გაფართოვება, რადგან თვით დაგამუშავების პროცესი მეტს შემოსავალს მისცემს ჩვენს სახალხო მეურნეობას. ამის მიხედვით სრული უფლება გვაქვს დავაყენოთ საკითხი ჩვენი საწარმოოთა გაფართოვების შესახებ, მით უმეტეს, რომ არსებული ორგანიზაცია (ტრესტი) თავისუფლად შეძლებს ამ ამოცანის განხორციელებას.

მაშასადამე—ხუთწლიანი გეგმის შედგენამდე უნდა გამოვარკვიოთ, თუ რა ტემპით უნდა წავიდეს ეს გა-

ფართოება და რა დახმარებას მოითხოვს საქმე მრეწველობის ხელმძღვანელ ორგანოებისაგან.

მთელი კავშირისათვის მრეწველობის ამ დარგის ზრდა გათვალისწინებულია 67 პროც.-ით ხუთი წლის განმავლობაში. და თუ ეს მისაღებია კავშირისათვის, ჩვენში ასეთივე პროცენტი უნდა განისაზღვროს არა ნაკლებ 100-ისა.

არ უნდა იქნეს დავიწყებული ამასთანავე თვით თამბაქოს კულტურაზე ზრუნვაც, უნდა გაგრძელდეს მუშაობა აგრეთვე თამბაქოს კულტურის ახალ რაიონებში გავრცელების შესახებ, რადგან იგი ერთი შრომის ტევადიანი კულტურათაგანია და როგორც ასეთი ხელს შეუწყობს ჩვენს სოფელში ზედმეტი მუშა - ხელის ჩაბმის მოგვარებას.

მრეწველობის ამ დარგისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თამბაქოს ფერმენტაციის საკითხს. როგორც ვიცით, მოსაწევად ახალი თამბაქო არ ითვლება ისეთი კარგი ღირსების პროდუქტად, როგორც ძველი, წინა წლების მოსავალი (ჩვეულებრივ ორი-სამი წლის წინანდელი), ეს არის შედეგი ბუნებრივი პროცესებისა, რომელიც ხდება თამბაქოს მოკრეფის შემდეგ. დღემდის ეს თხოულობდა დიდ დროს და მით შედარებით დიდი თანხების დაბანდება თამბაქოს სათანადო მარაგის დასამზადებლად, უკანასკნელი წლების დაკვირვება გვიჩვენებს, რომ შესაძლებელი ყოფილა ამ პროცესის დაჩქარება და საბოლოოდ დამდგარი თამბაქოს ბევრად უფრო ადრე მიღება, ვიდრე ეს წინეთ ხდებოდა. ამ საკითხის შესასწავლად ყუბანის თამბაქოს რაიონში მთელი ინსტიტუტია დაარსებული. ჩვენში კი დღემდის ეს კვლევა სწარმოებდა მხოლოდ კუსტარულად. საჭიროა ამ საქმესაც მიექცეს სათანადო ყურადღება.

**სპირტის და კონიაკის მრეწველობას**, ჩვენს ყურძნის ქვეყანაში, სადაც ვენახების სივრცე 34 ათას დესეტინას უდრის, ხოლო ღვინის წლიური მოსავალი 9—10 მილიონ ვედრას შეადგენს, დიდი მომავალი უნდა ექნეს. მრეწველობის ეს დარგი დღეს, თითქმის სავსებით მიწად-მოქმედების კომისარიატის ხელშია თავმოყრილი. ეს კომისარიატია მზრუნველი და პატრონი მევენახეობა-მეღვინეობისაც და მათზე დაყრდნობილი მრეწველობისაც. იგია იმავე დროს დიდი და საუკეთესო ვენახების პატრონიც.

საქმის რაციონალურად დაყენებისათვის ეს გარემოება ხელის შემწყობ პირობათ უნდა ჩაითვალოს. და რადგან ჩვენებურს ღვინოს, როგორც საბოლოო პროდუქტს, ისეთი გასავალი არა აქვს, როგორც ამას ჩვენი სასოფლო-მეურნეობის საჭიროება მოითხოვს, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ პროდუქტის გადამუშავებას; მისი ნაწარმის მომხმარებლის გემოსთან შეგუებას და მით გასაღების ბაზრის გაფართოებას. ეს საქმე ჩვენთვის არ არის ახალი; მას საკმაოდ დიდი და კარგი ტრადიცია აქვს. გვყავს საქმის მცოდნე ხალხი: თვით უწყებას, ანუ უკეთ ვთქვათ, მის სახალხო მამულების ტრესტს ქონებრივი ძალაც შესწევს. ამიტომ საჭიროა უმთავრესად ბაზრის შესწავლა, მისი მიდგომა და ეს სასარგებლო და მომგებიანი საქმე ადვილად მოგვარდება და წინ წასწევს ჩვენს მეურნეობასაც.

ასეთივე კარგი და საიმედო პერსპექტივების მომცემია ჩვენებური **ხილის და ბოსტნეულის გამოყენების საქმეც.** მართალია, სამრეწველო ხასიათის მებაღეობა ჩვენში არც ეგრე რიგად არის გავრცელებული და ბაღებში დარგული ხეხილის სივრცე დაახლოებით 10 ათას დესეტინას უდრის, მაგრამ ეზოებში და კარ-მიდამოსთან გაშენებული ხეხილის ჩათვლით ეს სივრცე ადის 23 ათას დესეტინამდე. ხილის საერთო მოსავალი კი შეადგენს წლიურად 9—10 მილიონ ფუთს.

ნაწილობრივ ეს ხილი გასავალს პოულობს კავშირის ბაზრებზე, განსაკუთრებით ქართლის რაიონიდან, მაგრამ მისი დიდი ნაწილი გარდა შინაური ბაზრისა ვერსად მიდის, ზოგი უგზოობისა და ზოგი თვით ბუნებრივი თვისებათა გამო (ქვემო იმერეთი, გურია, სამეგრელო):

ამის გამო სოფლის მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება სათანადო დარგის მრეწველობის განვითარებას, კონსერვების დასამზადებლად ხილის საშრობი ფაბრიკების მოწყობას.

ამ მიმართულებით ცდა უკვე დაწყებულია. მიმდინარე წელში შენდება ერთი კონსერვების ფაბრიკა და სამი ხილის საშრობი. დარწმუნებული ვართ ეს ცდა დადებით შედეგებს მოგვცემს და მომავალ ხუთ წლედში სხვა ახალ ადგილებშიაც მოეწყობა ეს საქმე.

ასეთივე მომავალი აქვს ბოსტნეულის დამუშავებასაც, რომელსაც აწარმოებს იგივე ფაბრიკები.

ასეთივე მნიშვნელობა შეიძლება მიეცეს ახლო მომავალში **რძის პროდუქტების დამუშავებასაც.** (ყველი ერბო, კარაქი). დღემდის ეს საქმე კუსტარულად სწარმოებდა, თუმცა ჩვენი მესაქონლეობა საზოგადოთ და მეცხვარეობა კერძოდ, სრულ საფუძველს იძლეოდა საქმის სამრეწველო ნიადაგზე დაყენებისათვის მიმდინარე წლიდან უკვე დაიწყო ასეთი ქარხნების აგება. შენდება ორი ქარხანა. ერთი დუშეთისა და მეორე ახალქალაქის მაზრაში. თითო მათგანი გადაამუშავებს 50 ათას ფუთს რძეს. ეს არის მხოლოდ დასაწყისი, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი ქარხნების სარგებლიანობა და რძის მაღალ ფასებში გასაღების შესაძლებლობა წაახალისებს ჩვენს მეურნეებს და მეტს ყურადღებას მიაქცევინებს მეწველი საქონლის მოშენება—მოვლის საქმისათვის.

გარდა მოხსენებულისა, არსებული დარგებიდან გაფართოებას მოითხოვს **საშენი მასალის დასამზადებელი მრეწველობა** (აგური, კრამიტი, კირი და სხვ.), რომელიც ადგილობრივი მრეწველობის ხაზით ვითარდება და ალმასკომების ხელშია თავმოყრილი. ცემენტის საქმე კი გამოყოფილი და მოგვარებულია. უკვე შენდება ქარხანა სად. კასპთან. ხუთწლედის პირველ წლებში იგი დამთავრდება და საგრძნობლად გააიაფებს ცემენტს.

ამავე ხუთწლედის გეგმასთან დაკავშირებით დადებითად უნდა გადაიჭრას ჩვენში **შუშის ქარხნის** (ბოთლები) საკითხიც, რომელიც უკვე დამუშავებულია და ელის მხოლოდ საჭირო თანხების გაღებას.

ამით ვათავებთ ცალკე დარგების განხილვას. ხუთწლიანმა გეგმამ ანგარიში უნდა გაუწიოს მშენებლობის მიერ აღებულ ხაზს, რომელიც როგორც ზევით დავინახეთ, უმთავრესად საკუთარ ნედლეულს ეყრდნობა და როგორც თავისი რაიონის, ისე მთელი კავშირისათვის უნდა ამ ნედლეულის გამოყენება.

დასახელებულ დარგთა უმრავლესობის განვითარება ხელს შეუწყობს ჩვენი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციასაც, რაც მორიგ ამოცანად არის დასმული სახელმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკაში და მით, არა თუ გაანელებს გარდამავალი ხანის მეურნეობის ზოგიერთ აუცილებელ ტკივილებს, ჩქარი ნაბიჯით მოგვგვიახლოვებს საბოლოო მიზნების განხორციელებას.

ჩვენს წერილებში არ არის ამოწურული მთელი მასალა და ზოგიერთი დარგი შეგნებულადაც გამოვტოვეთ აქ, რადგან მათზე გაკვრით ლაპარაკი შეუფერებელია. ასეთია, მაგალითად, დაშქესანის პრობლემა, ქიმიური მრეწველობა, შავი მეტალურგია და სხვ. ამ საგნებზე ცალკე შეჩერებაა საჭირო და თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო, ახლო მომავალში დაუბრუნდებით.

**ნ. ელიავა.**

# საპირველმაისო პირველი გამოსვლა

## მოგონება

მე დავიბადე
ერთ ბნელ სარდაფში,
სადაც მზის სხივი
ვერა სწვდებოდა;
ბრმა სილატაკის
ჭუჭყსა და ლაფში
უჰაერობით
სული მხდებოდა.
ტანჯულ დედიკოს
მწარე ქვითინი
და შემოჭრილი
ქარის სისინი,
შეერთებული
ვაგლახ ნანინად
ჩემს აკვანს თურმე
ზედ დასძახოდა.
მშობელი შობილს
ცრემლით მალბობდა.
ეს იყო წინათ,
კარგა ხნის წინათ
და დღესაც ყურში
მესმის ქვითინათ
დრო გადიოდა,
მეც ვიზრდებოდი,
ცხოვრების ავ-კარგს
ვაკვირდებოდი...
შემდეგ ქარხნებში
დავიწყე შრომა;
ჩემს ყრმობის დღეებს
იქ ვატარებდი,
გულის იდუმალ
ზრახვებს და ფიქრებს
ამხანაგ მუშებს
ვუზიარებდი.
ვგრძნობდით,
ვხედავდით
უუფლებობას,
მაგრამ ბურანში
ვიყავით ყველა,
ვერ მოვდიოდით
გონსა და ცნობას
ჩვენი თავისთვის
როგორ ,გვეშველა.
ჩვენს ერთ ლუკმა პურს
სისხლით ვღებავდით,
მძიმე შრომაში
ცხარე ოფლს ვღვრიდით
ჩვენის ნაშრომით
სხვებსა ვკვებავდით,
და სიმდიდრესაც
მათთვისა ვქმნიდით.
მონურ უღელში
ვიზნიქებოდით,
ჩინ კი ჩვენს ცოლ-შვილს
პური ჰშიოდა,
ქარხნის პატრონი,
ჩვენი ბატონი
ლხინში „ალლავერდს"
გადადიოდა...
დრო მიდიოდა...
ვფიქრობდით.
თვალი გვეხილებოდა.
ვგრძნობდით ახალი
ხანა დგებოდა.
მიხვდით მიზეზებს
კაცთ-მონობისას,
კაპიტალიზმის
ბატონობისას.
მარქსის მოძღვრებით
გავიგეთ ყველა,
რომ ჩვენს ხელთ იყო
ჩვენივე შველა.
და ამ შეგნებით
ყველანი ერთად
დავემუქრენით
ქვეყნის ძლიერთა.
რა გავაგრძელო:
შრომის შვილები,
ერთ ქარხანაში
თავ-მოყრილები,—
ბნელ ჯურღმულებში
ვიკრიბებოდით,
ძმობას, ერთობას
ვეფიცებოდით
და ბრძოლისათვის
ვემზადებოდით.
ვმსჯელობდით,
ვბჭობდით,
კითხვებს ვარკვევდით,
პირველ გამოსვლის
გეგმებს ვადგენდით.
ერთ მშვენიერ დღეს
გაზაფხულისას,
ჩვენ მოგვიწოდა
პირველ მაისმა.
ავაფრიალეთ
წითელი დროშა
და რისხვა - წყრომის
სიტყვაც გაისმა.
ბევრჯერ დავმარცხდით,
ბევრიც მოგვიკლეს,
ციხე — მათრახი
ვიგემე მეცა.
მაგრამ ჯალათთა
დევნა-წამებამ
მხნეობა უფრო
გაგვიასკეცა.
აი, აქედან
დაიწყო ომი
ძველის და ახლის,—
ორი ქვეყნისა,—
და გამარჯვებულ
ბრძოლით და შრომით
ავმართეთ წითლად
ემბლემა ხსნისა
და თუ დღეს ჩვენში
ასე აშკარად
ვდღესასწაულობთ
ამ დღეს ქარიშხლით,—
არ დავივიწყოთ,
გვახსოვდეს მარად,
რომ მოვიპოვეთ
ბრძოლით და სისხლით.
და ვფიცავთ
მშრომელ კაცობრიობას,
ვფიცავთ ბრძოლებში
დაღუპულ გმირებს,
რომ გრიგალებად
გადავიქცევით,
ჩვენზე თავდასხმას
ვინც დააპირებს.
ამხანაგებო!
მაშ ასწით მაღლა
წითლად ელვარე
დროშების წყება
და გადავძახოთ
მსოფლიოს მუშებს
ძმური სალამი
და გამარჯვება!

**გ. ქუჩიშვილი.**

# მაისის სიცილი

მზეს, მზეს ჰკითხეთ რად იცინის?
ცამ ნისლი რად გადიყარა?
შრომა ხარობს! მისი ჟინის
ძირს შაბათი დაიღვარა...
დილიდანვე მოიკაზმა
არე-მარე, მთა და ბარი,
და მოიწვევს ერთ დიდ რაზმად
უთვალავი შრომის ჯარი:
ქარხნის მუშა, ტვირთმზიდველი,
მეფეხსაცმლე, ჰონი, თერძი,
მეეზოვე, ქუჩის მგველი
თუ მჭედელი, ცეცხლის კერძი;
ხურო - დურგალ - კალატოზი,
მეყავის თუ ხის მწებავი,
დუღაბის თუ კირის მგოზი,
ჩექუჩქურთმე თუ მღებავი,
მკალავი თუ ტყვიის მსხმელი,
ხარატი თუ მთლელი რკინის,
ელსმენი თუ რკინის გზელი,
მებუხრე თუ მსმელი მინის,
მაღაროში მომუშავე,
მემადნე თუ მენახშირე,
მედაფე თუ მესაკრავე,
მეფანდურე თუ მესტვირე,
მეშაირე თუ მგოსანი,
თუ ასოთა სვეტად მწყობი,
მეურმე თუ ცხენოსანი,
მებაღე თუ პურის მცხობი,
ქალი, კაცი, ბრძენი, ბავშვი,
ნორჩია თუ ღიღხნოვანი,
ხელით—ხელში, მკლავით—მკლავ-
ში,
შეწნულნინ და თანხმოვანნი...
მოდის გუნდი მუშებისა!
მას წითელიც მოსდევს ჯარი!...
არის ძლევა ქუჩებისა
და დროშების ნიაღვარი!..
და ედება კიდით——კიდე
ეს გუგუნი მიწის მკერდის,
იმუქრება ყველგან, ვიდრე
კვლავ ხუნდს ხედავს ჩაგრულთ ბე-
დის!..

იმუქრება!... მისი ჟინის
ლალით სივრცეც დაიფარა!...
აი, მზეც დღეს რად იცინის,
ცამ ცეცხლი რად გადმოღვარა!...

**ნ. ზომლეთელი.**

# რას ამბობენ ფაქტები

## პასუხი კ. კანდელაკს

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა

სრულიად შემთხვევითი როდი არის ის ფაქტი, რომ მოქ. კ. კანდელაკმა ბევრი რაიმე ვერ სთქვა საქართველოს სოფლის მეურნეობის გაჩაჩანაკების შესახებ. მართალია მის საერთო მიზანს წარმოადგენს არსებითად დაასაბუთოს საქართველოს სახალხო მეურნეობრივ - განვითარების შეუძლებლობა საბჭოთა ხელსიუფლების პირობებში, მაგრამ ამ სახალხო მეურნეობის უმთავრეს დარგზე— სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, მას „არ ყოფნის“ საკმაო მასალა, რომ „ბოლშევიკებისავე სტატისფნის“ საკმაო მასალა, რომ „ბოლშევიკებისავე სტატისტიკით“ დახატოს სრული სიბეჩავის სურათი. მას არა თუ არ მოეპოება ეს მასალები, მან კარგად იცის, რომ ასეთ მასალებს ის ვერსაიდგან ვერ მიიღებს. ვერ მიიღებს იმიტომ, რომ თვით რეალური სინამდვილე, სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის სურათი, დიამეტრალურად საწინაალმდეგო ფაქტების შესახებ ლაღადებს.

ერთობ გასაკვირი საქმე მოუვიდა ეკონომისტ კ. კანდელაკს. მან დახატა საქართველოს ეკონომიურ განვითარების ჩიხში მომწყვდევის სურათი, მაგრამ გარდა ზოგად შენიშვნებისა, ვერაფერი ვერ სთქვა სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. საქართველოს პირობების დახასიათების დროს, მისი ეკონომიური მდგომარეობის შეფასებისას შეუძლებელი არის არ ილაპარაკო სოფლის მეურნეობაზე, რომლის აღდგენა-გაფართოებისაგან იყო დამოკიდებული საქართველოს მოსახლეობის აბსოლიუტურ უმრავლესობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდა. ჩვენ უწევთ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ კ კანდელაკმა ზერელე შენიშვნებით მაინც უარყოფითად დაახასიათა საქ. საბჭოთა ხელისუფლების სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და ამიტომ სასარგებლო იქნება, თუ ზოგიერთ მაჩვენებელთა მოყვანით ერთხელ კიდევ მივსცეთ მას ფაქტიურ ცნობებს დაუსაბუთებელ დასკვნათა გასაბათილებლად.

**ნათესების სივრცე.**

საქართველოში ყველა ნათესების სივრცე უდრიდა 1909—1913 წ. 729,300 გეჰქტარს, მხოლოდ 19927 წელს ის უდრის უკვე 787,800 გექტარს. ამნაირად ნათესების სივრცით ჩვენ არა თუ მივაღწიეთ ომის წინა დროინდელ დონეს, არამედ დიდათ წაუსწარით მას. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ომის წინა დროინდელ პერიოდს ვერ გაუსწორდით პურეულის კულტურების ნათესთა სივრცით, რომელიც 1909—13 წელს შეადგენდა 698,200 გექტარს, მხოლოდ 1927 წელში შეადგენს 745,500 გექტარს. მაგრამ ეს ოდნავად არ ნიშნავს იმას, რომ ზრდის ტემპი შენელებულად მიემართებოდა. თანახმად საქ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის 1925 — 26 წლის ანგარიშისა, რომელიც ალბათ ხელთ აქვს ბ. კანდელაკს, მაგრამ რომლითაც ის ალბათ, განგებ არ სარგებლობს, პურეულის ნათესების სივრცე 1921 წელს შეადგენდა ომის წინა დროინდელ სივრცის 67,4 პროც., 1925 წელს—93,2 1909—1913 წ. 729.300 გეჰქტარს, მხოლოდ 1927 წელს პროც., და 1926 წ.—94,2 პროც.-ს და 1927 წელში კი შეადგენს ამაზე მეტს, არსებითად უახლოვდება რა ომის წინა დროინდელ მდგომარეობას.

რაში მდგომარეობს იმისი მიზეზი, რომ ჩვენ ჯერჯერობითაც ვერ დავეწიეთ ომის წინა დროინდელ არეს პურეულის ნათესებში?

ამის მიზეზია იმ საწარმოო ძალთა აღდგენის აუცილებლობა, რომელიც საქართველოში 1921 წლის დასაწყისს განადგურებული სახით დაუტოვა ყოფ. დემოკრატიულმა მთავრობამ საბჭოთა ხელისუფლებას. პირველ ყოვლისა დანგრეული იყო ველები. საირიგაციო სისტემა სათანადო რემონტის უქონლობის გამო და ამიტომ გამოუყენებელი იყო სეთესად გამოსაყენებელ სარწყავ ფართობის თვალსაჩინო ნაწილი. იმ შეუწყვეტელ ომების წყალობით, რომელსაც დემოკრატიული მთავრობა აწარმოებდა მეზობლების მიმართ, თითქმის განადგურდა მუშა - საქონელი სოფლის მეურნეობაში და გამწევი ძალის ნაკლელობის გამო ბუნებრივად შემცირდა ნათესების ფართობი მენშევიკების ბატონობის გაშლის მომენტში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ჯანსაღ და სამუშაო ასაკის ჯარში გაყვანით და 3 წლის განმავლობაში თოფქვეშ ლაყენებით, სოფელს მოაკლდა სას.-სამ. წარმოების შრომის მარაგი და მით ამასაც უნდა ჰქონებოდა გავლენა ნათესების შემცირებაზე.

ყველა მოხსენებულ მიზეზთა ზეგავლენას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ 1921 წლისათვის, პურეულის ნათესების სივრცე ომის წინა დროინდელ დონის მიმართ შეადგენდა მხოლოდ 67,4 პროც. შემდგომ წარმოებულმა საწარმოო ძალთა განვითარებამ არსებითად გამოასწორა ეს მდგომარეობა და 1927 წლისათვის უკვე საიმედო მდგომარეობა გვაქვს.

უნდა მოეხსენებოდეს მოქ. კანდელაკს, რომ საქართველოს პირობებში, სოფლის მეურნეობის ამ მეტად დაზარალებულ დარგის აღდგენა არც ისე ადვილი საქმე იყო და თუ ის გაეცნობა საკავშირო რესპუბლიკების მდგომარეობას, დაინახავს, რომ პურეულის ნათესების სივრცის ომის წინადროინდელ მდგომარეობამდე მიახლოებაში, საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მესაქონლეობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. თუ როგორი იყო მესაქონლეობის ზრდა, ამას ვხედავთ შემდეგი ცხრილიდან:

**საქონლის რაოდენობა**

| საქონლის დასახელება | 1913 წ. | 1927 წ. |
|---|---|---|
| ცხენები . . . . . . . . | 120.500 | 94.900 |
| მსხვილ ფეხა რქოსანი საქონელი . . . . . | 1301.700 | 1.441.900 |
| ცხვრები . . . . . . . . | 1.663.500 | 1.900.000 |
| თხები . . . . . . . . . | 190.900 | 191.200 |
| ღორები . . . . . . . . | 284.200 | 581.300 |
| დანარჩენი საქონელი . . . | 15.900 | 18.700 |

---

„ახალი გზის“ № 63 და 66-ში მოთავსებულ ამხ. ვლ. პაპავას წერილში სათაურით: „რას ამბობენ ფაქტები“. დაშვებულია შემდეგი კორექტურული შეცდომები: მე-66 ნომრის მეათე გვერდზე მეორე სვეტში ზევიდან მეოცდაცამეტე სტრიქონში დაბეჭდილია: **სოციალიზმში გარდამავალ პერიოდათ, არა სამეურნეო ფორმებს.** უნდა იყოს: **სოციალიზმში გარდამავალ პერიოდათ და არა სოციალისტურ მეურნეობათ. აქ ადგილი აქვს სხვადასხვა სამეურნეო ფორმებს.** იქვე მე-7 სტრიქონში ქვევიდან დაბეჭდილია: **ეჯახებიან;** უნდა იყოს: **ეჭრებიან.**

„ახალი გზის“ მე-63 ნომრის ცხრილში ცენზიან მრეწველობის პროდუქცია 24—25 წელში დაბეჭდილია: **29.872,6;** უნდა იყოს **30.072,6.**

ამას გარდა მე-66 ნომერში მოთავსებულ წერილის უკანასკნელ ცხრილში ცენზიან მრეწველობაში შესულია სხვათა შორის ჩაის გადამწონავი ფაბრიკის პროდუქცია, რომელიც არსებობდა 25—26 წელში და ნაწილობრივ 26—27 წელში. (წინედ მოყვანილ სათანადო ცხრილში ამ ფაბრიკის პროდუქცია არ შედის).

როგორც მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, 1927 წლისათვის 1913 წელთან შედარებით ცხენები შეადგენენ 78,8 პროც., მსხვილ ფეხა რქოსანი საქონელი 110,8 პროც., ცხვარი 114,2 პროც., თხა 100,2 პროც., და ღორი 206,3 პროც. ომის წინადროინდელ დონისათვის არ მიუღწევია ცხენების რაოდენობას. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს გამუდმებით წარმოებულმა ომებმა განსაკუთრებით დააზარალა ცხენთ მოშენება და დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს, რომ ცხენების რაოდენობა ამ ზომად მიახლოებულია ომის წინადროინდელ რაოდენობასთან. მსხვილ ფეხა რქოსანი საქონელი 10,8 პროც. უსწრებს წინ ომის წინადროინდელ პროცენტს და ეს გარემოება აშკარათ ამტკიცებს, რომ მესაქონლეობის განვითარებას და მით სოფლის მეურნეობისათვის საჭირო გამწევ შრომის მარაგის გაფართოებას მტკიცე საფუძველი მოეპოება. ამის გარდა ეს ნათლად ამტკიცებს, რომ სამრეწველო მესაქონლეობა არა თუ აღდგენილია ჩვენში, არამედ იმაზედ მაღლა სდგას განვითარების დონით, ვინემ ეს ომის წინადროინდელ პირობებში იყო. ცხვრის ზრდაც 14,2 პროც. აშკარა მაჩვენებელი არის იმისა რომ მენშევიკების დროს დაცემული მეცხვარეობა არა თუ აღდგენილია, არამედ საკმაოდ გამართულია წელში და მით როგორც ქვემოთ დავინახავთ, იზრდება მისი პროდუქციის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობრივ შემოსავალში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეღორეობის ზრდა 106,3 პროც. ომის წინადროსთან შედარებით, რაც იმას ამტკიცებს, რომ სამრეწველო მეღორეობას ფართე ნიადაგი ეყრება ჩვენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობებში.

საერთოდ მესაქონლეობის შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ აქ დიდი მიღწევები გვაქვს საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შედეგათ და მოქ. კ. კანდელაკს არაფერი ეთქმის ამ დარგის დაჩაჩანაკებაზე. საქ. სოფლის მეურნეობაში მესაქონლეობას მსხვილ ფეხა საქონლისა და ცხვრის მოშენებას—უდიდესი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს.

გადავიდეთ ბაღებისა და ვენახების მდგომარეობის საკითხზე.

მოქ. კ. კანდელაკი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „ამნაირად, უმთავრეს საექსპორტო საქონელთა შორის ხილი, ღვინო და სპირტი არის, ის, რომლის საუკეთესო ბაზრათ შეიძლება რუსეთი ჩაითვალოს: მაგრამ ეს საგნები **სრულებითაც არ თამაშობენ** უმთავრეს როლს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში". (იხ. კ. კანდელაკი. „რას ამბობენ ფაქტები" გვ. 18).. მოქ. კ. კანდელაკს უნდა მოეხსენოთ, რომ ის განგებ ამახინჯებს ფაქტებს, თორემ ის ვერ იტყოდა, რომ მებაღეობისა და მევენახეობის პროდუქცია, სრულებით არ თამაშობენ როლს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში"

ვნახოთ, მართალია თუ არა მოქ. კანდელაკის ასეთი ხელაღებითი მტკიცება.

სასოფლო-სამ. პროდუქცია (ომის წინადროის გაზეთებში)

**სასოფლო-სამ. პროდუქცია (ომის წინა დროის მანეთებში)**

| დადარება | 1913 წ. | 1927 წ. |
|---|---|---|
| ულ სოფლის მეურნეობის პროდუქცია . . . . | 108.773.300 | 118.702.700 |
| მათ შორის: | | |
| ხეხილის პროდუქცია . . . | 4.437.000 | 9.268.000 |
| ღვინის პროდუქცია . . . | 13.873.500 | 16.175.200 |
| სულ ხეხილი და ღვინო. | 18.310.500 | 25.443.200 |

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს ხილი და ღვინო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის 20 პროც. შეადგენს და, როგორც ამას ცოტა ქვემოთ დავინახავთ, მეორე ადგილი უჭირავს მესაქონლეობის პროდუქციის შემდეგ. მაშასადამე ყოველივე საფუძველს მოკლებულია მოქ. კანდელაკის მტკიცება, იმის შესახებ, რომ ხილსა და ღვინოს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაშიო". მოქ. კანდელაკმა ეს კარგად იცის, მაგრამ მან ისიც კარგად იცის, რომ მენშევიკების ბატონობის ხანაში განსაკუთრებით დაეცა მეხილეობა და მევენახეობა; დაეცა სწორედ იმიტომ, რომ მისი პროდუქციისათვის დაიხურა რუსეთის ბაზარი. მას არ სურს აღიაროს, რომ ბოლშევიკურ საქართველოში სახალხო-მეურნეობის ამ ერთ-ერთ უმთავრეს დარგებს განვითარების თვალსაჩინო მიღწევები აქვს.

ხილის ბაღების ფართობი უდრიდა 1909—13 წელს 6.800 დესეტინას, მენშევიკების ბატონობის დროს ის დაეცა 2000 დესეტინამდე, მხოლოდ 1927 წელს შეადგენს 13.299,300 დეს.

აქ მაშასადამე, მოცემულია გადაჭარბება ომის წინადროინდელ მდგომარეობასთან შედარებით, აქედან აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირში მოქცევით საქართველომ აღიდგინა არა მარტო დაკარგული ბაზარი, არამედ ამ ბაზრის სიფართოვეს იყენებს სოფლის მეურნეობის ამ რენტაბელურ დარგის განვითარებისათვის. და თუ ამ ხილის საუკეთესო საექსპორტო ბაზრათ რუსეთის ბაზარი ითვლება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ხეხილის ბაღების ფართობის თითქმის 100 პროც. გაზრდა ომის წინადროინდელ მდგომარეობასთან შედარებით, დიდ შესაძლებლობას უშლის წინ ჩვენი ხეხილის სამრეწველო მეხილეობის გაშლა-განვითარებას.

მოქ. კანდელაკს, ალბათ, ისიც მოეხსენება, რომ ქართლის გულის—გორის მაზრის მოსახლეობის დიდი ნაწილი მეხილეობას ეკიდება და მისი კეთილდღეობა სწორედ რუსეთის ბაზარზეა დამოკიდებული. ის ხელს იღებს ნაკლებ რენტაბელურ ხორბლეულის კულტურაზე, რომ მეხილეობის გაფართოებით მეტად რენტაბლური გახადოს თავისი სას. სამ. წარმოება. ამიტომ ის პურს რუსეთიდან იღებულობს.

მოქ. კანდელაკს ისიც მოეხსენება, რომ ხეხილის ბაღების გაჩეხვას მენშევიკურ ბატონობის მიერ გამოწვეული ორი პირობა უწყობდა ხელს: ა) ხილის გასაღების ბაზრის დაკარგვა და ბ) რუსეთის პურის ბაზრის დაკეტვის გამო ხეხილის ბაღების გაჩეხა ხორბლეულისათვის სათეს ფართობათ გადაქცევის მიზნით.

ასეთივე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი მევენახეობაც, რომლის ფართობი 1909—13 წელს უდრიდა 55.583 დესეტინას. მხოლოდ 1926 წელს უდრიდა 32.993 დესეტინას. საყოველთაოდ ცნობილი არის, რომ ფილოქსერამ განადგურების გზაზე დააყენა ჩვენი მევენახეობა. რომლის წინააღმდეგ მენშევიკების ბატონობის დროს **არც ერთი სერიოზული ზომა არ ყოფილა მიღებული. ალბათ იმიტომ, რომ მაშინდელ ფინანსთა მინისტრ მოქ.** კანდელაკს და მის ამხანაგებს ის არ მიაჩნდა სახალხო მეურნეობის მთავარ დარგათ, თუმცა მათ კარგადვე იცოდნენ, რომ ამ დარგის შემოსავლით საზრდოობს უმთავრესად ისეთი მაზრის მცხოვრებნი, როგორიცაა სიღნაღის, თელავის და შორაპნის მაზრები. ღვინის გასაღების ბაზრის დაკარგვის გამო. მენშევიკების ბატონობისას ადგილი ქონდა ქონდა ვენახების მასიურ აჩეხას და მათ ფართობის სათესად გადაქცევას. ამან მიიყვანა საქართველოს მევენახეობა კატასტროფიულ მდგომარეობამდე. ერთის მხრით ფილოქსერა და მეორეს მხრით გასაღების ბაზრის დაკარგვა—აი რა გაუვალ ჩიხში მოემწყვდა ჩვენი ქვეყნის მევენახეობა—მეღვინეობის განვითარება.

ვენახების ომის წინადროინდელი სივრცე ჩვენ ვერ აღვადგინეთ, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ პროდუქციის მხრით წაუსწარით იმის წინადროინდელ მდგომარეობას. თუ ღვინის პროდუქცია 1909—

13 წელს უდრიდა 13.873.500 მანეთს, ის 1926 წელში უდრიდა 16.175.200 მანეთს (ომის წინადროინდელს). ეს ფაქტი აშკარად ადასტურებს, რომ მევენახეობის რაიონებში გაუმჯობესებულია დამუშავების ტეხნიკა, მევენახის მეურნეობა უფრო რაციონალურად არის მოწყობილი და მით გადიდებულია ღვინის პროდუქციის ვამოსავალი. ეს კი აშკარათ ამტკიცებს, თანამედროვე მევენახეობა-მეღვინეობის ორგანიზაციის უპირატესობას ომის წინადროინდელ მდგომარეობასთან შედარებით.

მოქ. კ. კანდელაკს არ სურს ილაპარაკოს მევენახეობაზე; ეს არ არის მისთვის ხელაყრელი, მაგრამ ამაზე ლაპარაკი უეჭველად საჭირო არის, რომ ფარდა ავხადოთ იმ დაბრმავების პოლიტიკას, რომელსაც მენშევიკური ემიგრაცია აწარმოებს.

როგორც აღვნიშნეთ, ფილოქსერა გამანადგურებლათ მოევლინა ჩვენს მევენახეობას. ამერიკული ვაზის სადედეები მენშევიკების დროს შეადგენდა 20 გაქტარს და ისინიც იმდენად განადგურებული იყო, რომ შეუძლებელი იყო მათი გამოყენება საგრძნობ გადამუშავება-აღდგენის გარეშე. ამრიკულ ვაზზე მყნობით ფილოქსერის დაძლევისათვის აღდგენილი იქნა ეს 20 გექტარი სადედეებისა და შემდგომ გაფართოვდა შემდეგნაირად. (გექტარებში).

| დასახელება | 1921/22 | 1922/23 | 1923/24 | 1924/25 | 1925/26 | 1926/27 | სულ ჩაიყარა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკული ვაზის სადედეები (გექტარებში) ჩაიყარა . . . | 32,7 | 17,6 | 32,8 | 95 6 | 122,0 | 44,1 | 344,3 |
| შორის კერძო პირთა მიერ | — | — | 2,2 | 3,2 | 10,9 | 15,4 | 31,7 |

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, ინტენსიური მუშაობა სწარმოებდა ამერიკული ვაზის სადედეების შესაქნელად. ეს კი ოდნავად არ წააგავს მენშევიკურ დროინდელ საქმიანობას მევენახეობის დარგში. მიწათ-მოქმედების კომისარიატმა არ დაიწყო ცდა, სანამ ჩვენი სადედეები მოიცემოდა მოსავალს და დაიწყო ნამყენების დამზადება ახალ ფილოქსერა გამძლე ვენახების გასაშენებლათ. ამ მიზნით მან გამოიწერა ვაზი საფრანგეთიდან და მით დააკმაყოფილა მევენახეთა მოთხოვნილება. შემდეგი მოცულობით:

| წლები | მიღებულია ვაზი (მეტრით) |
|---|---|
| 1925 | 1.200.000 |
| 1926 | 4.440.000 |
| 1927 | 4.300.000 |

ამერიკულ ვაზების სამყენის (черенки) დამზადება სწარმოებდა მიწათ-მოქმედების კომისარიატის და სხვა ორგანიზაციების მამულებიდან და დამზადებული იქნა შემდეგი რაოდენობით:

| წლები | დამზადებულია (მეტრებში) |
|---|---|
| 1924 | 300.000 |
| 1925 | 900.000 |
| 1926 | 1.500.000 |
| 1927 | 2.500.000 |

ამ ღონიძიებათა საშუალებით შესაძლებელი შეიქნა ფილოქსერა გამძლე ვენახების გაშენება და მით მევენახეობის გაჯანსაღებისათვის მტკიცე ბაზის შექმნა. აი ცნობები:

### ფილოქსერა გამძლე ვენახის ფართობი (გექტარებში)

| | 1924 | 1925 | 1926 | 1927 | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| შექმნილია ფართობი | 165 | 750 | 980 | 1100 | 2995 |

ამნაირად, ამ მხრით დიდი მიღწევები გვაქვს მევენახეობის გაჯანსაღების დარგში. ნამყენთა დამზადება სწარმოებს სათბურების წესით (რიხტერის სისტემით) და ამ მიზნით მიწათმოქმედების კომისარიატს მოწყობილი აქვს 17 სათბური. ამ სათბურების მასალით მოსახლეობის მიერ ვენახების გაფართოების მოთხოვნილება ერთნაირად დაკამყოფილებული იყო და სახალხო მამულების საცდელ-საჩვენებელ რესურსებით ჩატარებული იქნა ახალი დამყნა:

| | 1923 | 1924 | 1925 | 1926 | 1927 |
|---|---|---|---|---|---|
| დამყნულია (ცალი) . . | 300,000 | 700,000 | 1.000,000 | 5.862,256 | 6.940,000 |

ამის გარდა მიწათ-მოქმედების კომისარიატს მოწყობილი აქვს თავის სახალხო მამულებთან ვენახის ვაზის დამყნელთა მოკლევადიანი კურსები, რომელიც ყოველწლიურად საშუალოთ უშვებს 1500—2000 მყნობელს.

აი ის სამუშაოები, რომლებიც ჩაატარა საბჭოთა ხელისუფლებამ მევენახეობის გაჯანაღების დარგში. ეს დარგი კი არც ისე უმნიშვნელოა ჩვენს სახალხო მეურნეობაში, როგორც ამას ბატ. კ. კანდელაკი ამტკიცებს.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ბაღ-ვენახების მდგომარეობა არსებითად განმტკიცებულია ამჟამათ და მისი განვითარების პერსპექტივებიც უზრუნველყოფილია. სრულიად არარაობამდე დაეცა მენშევიკების ბატონობის ხანაში ტეხნიკურ კულტურების და განსაკუთრებით ბამბისა და თამბაქოს მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში. ასე მაგალითად:

| კულტურული დამ. | 1909-13 წ. | 1920 | 1926 |
|---|---|---|---|
| ბამბა . . . . . . | 5.887 | 0 | 8.133 |
| თამბაქო. . . . . | 9.227 | 14.57 | 13.169 |

მეურნეობის სხვა დარგებს შევეხებით შემდეგ ნომერში.

**ზ. ჩახვაძე.**

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## მუშათა კლასის დღესასწაული

პირველი მაისი მუშათა კლასის სოლიდარობის დღეა. ეს დღე დააწესა მეორე ინტერნაციონალის კონგრესმა 1889 წელს. კონგრესის რეზოლიუციაში ნათქვამია: „პირობით არჩეულ დღეს, ყველა ქვეყნებში ჩატარდება მუშათა კლასის დიდი საერთაშორისო მანიფესტაცია. ამ დღეს მშრომელები წაუყენებენ თავის მთავრობას მოთხოვნილებებს 8 საათის სამუშაო დღის და საერთოდ კონგრესის ყველა დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ“-ო.

შემდეგ რეზოლიუციაში ვკითხულობთ: „ყველა ერის მშრომელები მანიფესტაციებს მოაწყობენ იმ პირობების და ხასიათის მიხედვით, რომელშიაც მათ ცხოვრება უხდებათ“ და სხვა.

პირველი მაისი მსოფლიო მუშათა კლასის დიად დღესასწაულად გადაიქცა. ამ დღეს ყველა ქვეყნების მშრომელები აწყობენ მანიფესტაციებს, აყენებენ ეკონომიური, და პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნილებებს. დარაზმული, და ბრძოლის ლოზუნგებით გამოდიან ქუჩაზე.

ყოველ წლის პირველ მაისს მუშათა კლასი სინჯავს თავის რიგებს. ამ დღეს მუშათა კლასი ატყობინებს ბურჟუაზიულ სამყაროს თავის რევოლიუციონურ განწყობილებას, ამით ის ამტკიცებს თავის ბრძოლის უნარიანობას:

პირველ მაისს ქუჩებზე იშლება მშრომელი მასების რაზმები ადამიანის თვალწინ მკაფიოთ ჩნდება ის ღრმა უფსკრული, რომელიც გათხრილია, მუშათა და ბურჟუაზიულ კლასებს შორის, მათი შეურიგებლობა ამ დღეს მთელი თავის სიგრძე-სიგანით ხდება შესაგრძნობი...

პირველი მაისი სხვა მხრივაც ბევრს რამეს ლაპარაკობს. ამ დღეს მსოფლიო მუშათა კლასი უკავშირდება ერთი მეორეს. ამ დღეს ყველა მშრომელებს აერთიანებს ერთი მეორეს. ამ დღეს ყველა მშრომელებს აერთიანებს, ამოქმედებს ერთი ინტერესი, ერთი მისწრაფება და მიზანი. პირველი მაისი მუშათა კლასის ინტერნაციონალური დღესასწაულია; მაგრამ ზოგ ქვეყნებში, იქ, სადაც ჯერ კიდევ აქვს გავლენა სოციალ-დემოკრატ. პარტიას მათი წყალობით, ამ დიად დღესასწაულს ლაქი ედება და იჩრდილება. მენშევიზმს ამ დღესასწაულში შეაქვს თავის წვრილბურჟუაზიული პსიქოლოგია, შემთანხმებელი ხასიათი და გვერდს უვლის მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლის გაშლას, ბურჟუაზიის სრულ დამარცხებას...

სოციალ-დემოკრატიამ დიდი ხანია, რაც შებღალა და უკუაგდო ჭეშმარიტი მარქსისტული გზა. ის ამჟამად ვაჭრობს იმ ნდობით, რომელსაც მასზე ჯერ კიდევ ამყარებს მუშათა კლასის ერთი ნაწილი. სოციალ-დემოკრატია. პირველ მაისს აცლის მუშურ, პროლეტარულ ხასიათს, და შოვინისტური, და რეაქციონური შინაარსით ავსებს მას. გავიხსენოთ, თუ გინდ, 1917 წლის პირველი მაისის დღესასწაული რუსეთში.

დღესასწაულის ფართოდ და ინტერნაციონალური ლოზუნგებით ჩატარებას აშკარად წინააღუდგენ მენშევიკები. აი რას ვკითხულობთ გაზ. „იუნოშესკაია პრავდაში“ № 125 მოყვანილ ერთ-ერთ ძველი რევოლიუციონერის წერილში. „მოახლოვდა პირველი ამისის დღესასწაული. მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა ფრონტებზე სანგრებშია. დღესასწაულის ფართოდ ჩასატარებლად საჭირო იყო პროლეტარიატთან ერთად ფრონტებზე ჯარის გამოხმაურებაც და მონაწილეობის მიღება. ბურჟუაზია ცდილობდა, რომ პროლეტარიატი ჯარისაგან დაეშორებია, რადგან ჯარის პირველი მაისის დღესასწაულში მონაწილეობის მიღება ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელ გარემოებას არ წარმოადგენდა. ბურჟუაზიის წარმომადგენლები შეცადენ მოეწყვიტათ ჯარი პროლეტარიატისაგან, მენშევიკებმა აშკარად დაუჭირეს მხარი ბურჟუაზიას თავის ზრახვების განხორციელებაში“ და სხვა.

პეტროგრადის საბჭოში, სადაც უმრავლესობა მენშევიკები იყვნენ მაშინ, შემდეგი ხასიათის რეზოლიუცია შეიტანა მენშევიკ წერეთელმა პირველი მაისობის დღესასწაულის ჩატარების შესახებ, გასაგზავნ მილოცვაში: „აღმასრულებელი კომიტეტი ულოცავს რევოლიუციონურ ჯარს პირველ მაისს და იმედს გამოსთქვამს, რომ განსაკუთრებული პირობების გამო (ე. ი. ომის გამო, რომელიც ბურჟუაზიის ინტერესებში სწარმოებდა ნ. ჯ.) ის თავის ვალად სთვლის აცნობოს ფრონტზე მყოფ ჯარის ნაწილებს, რომ ყოველი ჯარის კაცი უნდა იდგეს ბრძოლის სადარაჯოზე“-ო. და სხვ.

ეს რეზოლიუცია შეუსწორებლად მიიღო პეტროგრადის საბჭომ და დაუგზავნა ჯარის ნაწილებს ფრონტზე.

ასე ხვდება სოციალ-დემოკრატია, დღესაც პირველი მაისის დღესასწულს. ის ამახინჯებს ამ დღესასწაულის მნიშვნელობას. მისი „ხელმძღვანელობის“ ქვეშ მუშათა კლასი ვერ იყენებს ამ დღესასწაულს ბრძოლების სადემონსტრაციოდ.

არც ახალგაზრდათა სოციალისტური ინტერნაციონალი ჩამორჩება უფროსებს. ისიც თვალთმაქცობს მშრომელი ახალგაზრდობის წინაშე. ახალგაზრდათა ინტერნაციონალი ღირსეული მემკვიდრეა მეორე ინტერნაციონალის, მუშათა კლასის ინტერესების ღალატში და პირველი მაისის ჩატარებაშიც კვალდაკვალ მისდევს მეორე ინტერნაციონალს.

როგორ ემზადებიან ახალგაზრდა მენშევიკები პირველი მაისისათვის?

დაუგდოთ ყური პირველი მაისისათვის გაგზავნილ ახალგაზრდა მუშებისადმი მათ მიმართვას „იმისათვის, რომ განმტკიცდეს ინტერნაციონალური სოლიდარობა, ჩვენ ასეთ ლოზუნგს ვაყენებთ: შეაგროვეთ თანხები საერთაშორისო მასშტაბის დღესასწაულის მოსაწყობად სასეირნოთ“ დას სხვა.

ისეთი ორგანიზაცია, რომელიც „მუშათა ორგანიზაციის“ სახელწოდებას ატარებს და ფულს აგროვებს სეირნობის მოსაწყობათ, იმ დროს როდესაც შიმშილით იხოცებიან კაპიტალის წინააღმდეგ გაფიცულნი მუშები და მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ, ახალგაზრდათა სოციალისტური ინტერნაციონალის ასეთი განცხადებით გამოსვლა; საკმაოდ ახასიათებს მათ ოპორტიუნისტობას და მოღალატეობას.

მუშურ-გლეხური ხელისუფლება დიდის ზეიმით ატარებს ამ დღესასწაულს. ეს დღე ჩატარდება იმ ლოზუნგების ქვეშ. რომელთა განხორციელება ჩვენი სოციალისტურ მშენებლობის სასიცოცხლო ინტერესებს წარმოადგენს. ყველა ქვეყნების მუშათა კლასი და მუშა-ახალგაზრდობა კომპარტიის ხელმძღვანელობით რეფორმისტების სურვილის წინააღმდეგ, წელს კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით და ფართო მასშტაბით ჩაატარებს, საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობის დღესასწაულს.

**ნ. ჯულელი.**

**სარედაქციო კოლეგია**

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.